

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ანა ბითაძე

ქვემო ხვითის ონომასტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე
ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ვიანორ ახალაია

გორი

2019

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი გორის მუნიციპალიტეტში შემავალი ისტორიული წარსულით გამორჩეული სოფელ ქვემო ხვითის ონომასტიკის შესწავლას ეხება. დოკუმენტურ წყაროზე დაყრდნობით გაშუქებულია არაერთი საინტერესო ფაქტი.

ნაშრომი დაეხმარება ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს შიდა ქართლის ონომასტიკის კვლევაში და უკეთ შესწავლაში. ყველას კარგად მოგვეხსენება, თუ რამდენად გაიზარდა ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგის, კერძოდ, ონომასტიკისადმი ინტერესი. ვფიქრობთ, აღნიშნული ნაშრომით პატარა წვლილს შევიტანთ ონომასტიკის შესწავლაში და ჩვენი ქვეყნის მდიდარი ონიმასტიკური მასალის, აღნუსხვასა და კვლევაში.

კვლევის მიზანი იყო გავცნობოდით და ნაშრომში წარმოგვედგინა ის ონომასტიკური მასალა, რაც სოფელ ქვემო ხვითშია დაცული. მასში წარმოდგენილია სოფლის სიძველეები და წეს-ჩვეულებები, გვარ-სახელები, განსაკუთრებით კი ყურადღება გავამახვილეთ ტოპონიმებზე და ანთროპონიმებზე (მეტსახელებზე). პირველ რიგში საჭირო იყო სათანადო მასალის აღნუსხვა, შემდეგ კი ამ მასალის კლასიფიკაცია და ენათმეცნიერული ანალიზი. ნაშრომში გადმოვეცით, გავაანალიზეთ ის მასალები, რომლებიც მოვიპოვეთ საველე მუშაობისას და ისტორიულ საბუთებში. საანალიზო მასალა მოძიებულია ჩვენ მიერ.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გამოყენებულია აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.

Annotation

Onomatology of Kvemo Khviti

Presented work refers to studying the onomatology of the village Kvemo Khviti of Gori Municipality, which is distinguished with the historic past. Based on the documentary source many interesting facts are covered.

work will help the interested persons to research and study better onomatology of Shida Kartli. We all know, that over the last several decades, interest to the one of the fields of linguistics, namely towards the onomastics has increased. We think, that with the present work we will make a small contribution in the study of onomatology and in recording and researching, our country's rich onomastic material.

The aim of the research was to get acquainted with the onomastic material preserved in the village of Kvemo Khviti and represent it in the work. It contains the oldest rules of the village, names and surnames, especially we draw our attention to the toponyms and anthroponyms (nicknames). First of all, it was necessary to record the corresponding material, and then classification and linguistic analysis of this material. In the work, we represented and analyzed materials, which we obtained during the field work and in the historical documents. The material for the analysis is retrieved by us.

Depending on the purpose of the research, the descriptive and historical-comparative method is used.

შინაარსი

(სარჩევი)

შესავალი.....	6
თავი I. ქვემო ხვითის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა.....	8
თავი II. სოფლის სიძველეები და წეს-ჩვეულებები.....	9
§ 2.1. ეკლესიები.....	9
§ 2.2. კოშკი და ბასილიდიანთ ციხე.....	14
§ 2.3. შინ მოუსვლელი ჯარისკაცის მემორიალი.....	16
§ 2.4. საფლავის წარწერები.....	16
§ 2.5. მარიამობა.....	17
§ 2.6. საკვირადლო.....	18
§ 2.7. მეკვლეობა	18
§ 2.8. ჭონა.....	18
§ 2.9. ჭიაკოკონობა.....	19
§ 2.10. თავოთავობა.....	19
§ 2.11. ქათმის ხუთშაბათი.....	20
თავი III. სოფლის ტოპონიმები.....	22
§ 3.1. სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგია და სხვადასხვა სუფიქსიანი ტოპონიმები.....	22
§ 3.2. -ებ სუფიქსიანი ტოპონიმები.....	25
§ 3.3. -ინი(ი) სუფიქსიანი ტოპონიმები.....	27
§ 3.4. პრეფიქს-სუფიქსული წარმოქმნა (სა-ე).....	27

თავი IV. გვარ-სახელები.....	29
§ 4.1. გვარის შესახებ სხვადასხვა მკვლევარის ნააზრევნი.....	29
§ 4.2. -ძე სუფიქსიანი გვარები.....	33
§ 4.3. -შილ სუფიქსიანი გვარები.....	39
§ 4.4. სხვადასხვა სუფიქსზე გათავებული გვარები.....	42
თავი V. ანთროპონიმები.....	45
§ 5.1. ცნობილი პირების სახელები მეტსახელებში.....	45
§ 5.2. ლიტერატურული გმირებისა და მხატვრული პერსონაჟების სახელები მეტსახელებში.....	46
§ 5.3. გარეგნობის გამომხატველი მეტსახელები.....	47
§ 5.4. თევზის, ცხოველების და ფრინველთა მსგავსებით შერქმეული სახელები.....	48
§ 5.5. გონებრივი და სხვა თვისებრივი ნაკლის გამომხატველი მეტსახელები.....	50
§ 5.6. თვისების და ხასიათის მიხედვით შერქმეული მეტსახელები.....	50
§ 5.7. ქცევისა და მოქმედების აღმნიშვნელი სახელები მეტსახელებში.....	51
§ 5.8. უცნობი სემანტიკის გამომხატველი მეტსახელები.....	52
§ 5.9. კნინობით-მოფერებითი, ალერსის გამომხატველი მეტსახელები.....	52
დასკვნა.....	54
გამოყენებული ლიტერატურა.....	56
საილუსტრაციო მასალა.....	58

შესავალი

ონომასტიკა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სახელის შერქმევის ხელოვნებას, იგი ენათმეცნიერების დარგია და აერთიანებს სხვადასხვა რიგის საკუთარ სახელთა შემსწავლელ ქვედარგებს - **ტოპონიმიკას** (ადგილთა სახელების შემსწავლელ მეცნიერებას), **ჰიდრონიმიკას** (მდინარეთა, წყაროების, ტბების,...), **ანთროპონიმიკას** (ადამიანთა გვარ-სახელებს, მეტსახელებს...), **კოსმონიმიკას** (ციურ სახელთ...), **ზოონიმიკას** (ცხოველთა სახელებს) და ასე შემდეგ (გ. ხორნაული, 2003, გვ. 8). ისინი ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იწვევდნენ არა მარტო დარგის სპეციალისტთა შორის. ამ ინტერესს განაპირობებს, უპირველეს ყოვლისა, ის ფაქტი, რომ ყოველ ონომასტიკურ ერთეულს თავისი საკუთარი ბიოგრაფია აქვს. მასში აისახება ხალხის ისტორია და მსოფლშეგრძნება, ერის ტკივილი და ჭირვარამი, ყოფიერება და საქმიანობა.

ამიტომაც არის, რომ არაფრის მთქმელი, უაზრო და უშინაარსო ტოპონიმი არ არსებობს, ხოლო თუ რომელიმე სახელწოდება სადღეისოდ აღარავითარ ინფორმაციას არ შეიცავს გარე სინამდვილის შესახებ, ეს სულაც არ ნიშნავს მის უშინაარსობას. ჟამთა ცვლას დაუნისლავს თავდაპირველი ხატი, რაც საფუძვლად დასდებია ადგილის სახელდების პროცესს და ტოპონიმი იმდენად ნირშეცვლილად მოუტანია ჩვენამდე, რომ მხოლოდ სპეციალური მეცნიერული ანალიზით და წიაღსვლებით თუ არის შესაძლებელი მისი ამტყვევლება. „უფრო ხშირად კი ტოპონიმი ეპოქათა ქარტეხილებს უძღვება და საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებს თავის პიროვნულ სახეს“ (ალ. ლლონტი). ისინი ექოსავით გვაწვდიან მარტოსულ საუკუნეთა ხმას, მოგვითხრობენ იმდროინდელ ამბებს, რომლებიც თითქმის სამუდამოდ ჩაკარგულან ისტორიის წყვედიადში, მაგრამ თურმე სამუდამოდ არ გამქრალან (ნ. ოქროპირიძე, 2008, გვ. 8).

ნაშრომი დაეხმარება ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს შიდა ქართლის ონომასტიკის კვლევაში და უკეთ შესწავლაში. მოგეხსენებათ, თუ რამდენად გაიზარდა ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგის, კერძოდ, ონომასტიკისადმი ინტერესი.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, შევისწავლოთ გორის რაიონში მდებარე პატარა სოფელის ქვემო ხვითის ონომასტიკა, კერძოდ, ყურადღებას გავამახვილებთ სოფელში დაცულ ტოპონიმებზე და ანთროპონიმებზე.

ნაშრომში გადმოვეცით, გავაანალიზეთ ის მასალები, რომლებიც მოვიპოვეთ საველე მუშაობისას და ისტორიულ საბუთებში. საანალიზო მასალა მოძიებულია ჩვენ მიერ.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გამოყენებულია აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.

ჩვენი ნაშრომით ვეცდებით შეძლებისდაგვარად გამოვარკვიოთ ის ონომასტიკური მასალა, რომელიც სოფელ ქვემო ხვითშია დაცული.

თავი I. ქვემო ხვითის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა

სოფელი ქვემო ხვითი, მდებარეობს გორის რაიონში (შინდისის საბჭოში), შიდა ქართლის ვაკეზე. ზღვის დონიდან 800 მ, გორიდან 27 კმ, შინდისიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 კმ. მეთესლეობის მეურნეობა. საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, ბიბლიოთეკა, კლუბი, სასაფერშლო პუნქტი (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. X, 1986, გვ. 517).

თავი II. სოფლის სიძველეები და წეს-ჩვეულებები

§ 2.1. ეკლესიები

ქვემო ხვითი, არც თუ განსაკუთრებით გამორჩეულია შიდა ქართლის დანარჩენ სოფლებისაგან, მაგრამ დღემდე იმდენი რამ შემორჩენილა ჩვენი წინაპართა ცხოვრების მაცნედ, რომ ხანდახან ვფიქრობ, უძველესი უნდა იყოს-მეთქი ჩემი სოფელი.

სოფლის სიძველეთაგან აღსანიშნავია ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც დგას სოფლის განაპირა მხარეს, სასაფლაოზე. თარიღდება გვიან ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (11,8 X 7,3 მ), ნაგებია რიყის ქვით. დაზიანებულია: მნიშვნელოვანი ზარია გაჩენილი კამარის შუაში, ეკლესიის მთელ სიგრძეზე, აფსინდის კონქში და აფსინდის კედლის ღერძზე იატაკამდის. დაზიანებული ეკლესია შეუკეთებიათ კვადრ. აგურით. დასავლეთის შესასვლელის ზღრუბლში გამოყენებულია ორი ჩუქურთმიანი ქვა. ორივე მხრიდან შეისრულთაღიანი შესასვლელები დასავლეთ კედლის შუაში და სამხრეთ კედლის დასავლეთ მონაკვეთშია. ორივე შესასვლელი გარედან თაღოვან შეღრმავებაშია მოთავსებული. აღმოსავლეთის ფასადის სარკმლის თავსართზე გამოსახულია განედლებული ჯვარი, რასაც ნახევარწრიული მოჩარჩოება აქვს. სამხრეთის კარის თავზე ჩადგმულია მოზრდილი წარწერიანი ფილა. სამრეკლოს გუმბათოვანი გადახურვა და აგურის პირამიდული სახურავი აქვს (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი V, 1990, გვ. 115). ეკლესიას გარშემო ჰქონია გალავანი, რომლის ნაშთებიც დღესაც შემორჩენილია. მოსახლეობის თქმით გალავანს ჰქონია სათოფურებიც, ორი კარი აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. დღეს მხოლოდ აღმოსავლეთიდან შესასვლელი კარია შემორჩენილი.

აღნიშნულ წარწერაში მითითებულია, რომ ეკლესია აშენებულია ვინმე თაქთაქისძისაგან, აგრეთვე მოხსენიებულია მისი ძმებიც არდაშელი, ფილიპე და ელისბარი, ქრონიკონით აღნიშნულია ტნ.

8 სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, მიაკვლია ჯონდო გვასალიამ და გაშიფრა, რომელიც ასე იკითხება: „ ... დაუსაბამსა ღვთისა განზრახვით განჩინებით და ძისა მისისა

ჭეშმარიტად მშობელი, რომელი კსნისათვის ჩუენისა შუამდგომელ იქმენ და მეოხარ ჩუენ ცოდვილთათვის, შეუნდვენ ყოვლად წმინდაო, ღვთის მშობელო. მსასოებელმან შენმან თაქთაქისძემ მრომელმან იოანე (იესე?) აღვაშენე საყდარი ესე ბრძანებისა ღვთის მშობლისა მეტოქად ჩუენს ნასყიდს ალაგზედა ცოდვათა ჩუენთა შესანდობლად და ძმათა ჩუენთა შესანდობლად და ძმათა ჩუენთა არდაშელ, ფილიპე და ელისბარის სადღეგრძელოდ. ქრონიკონს ტნ“, ქრონიკონი ტნ უდრის 1662 წ (ჯ. გვასალია, 1982, გვ. 47).

დახლოებით 1981 წელს, ქვემო ხვითის საჯარო სკოლის ქართულის მასწავლებელი, ნინო ბასილიძე, შეეცადა ზემოთ აღნიშნული წარწერის ქარაგმები გაეხსნა და თანამედროვე შესატყვისი ასეთია: „ეჰა, ადამ დაცემულისა აღმართებო და ევას მწუხარებისა განმქარვებელო, დაუსაბამსა ღვთის განზრახვით განმჩინებელო და მისა მისსა ჭეშმარიტად მშობლიურის ხსნისათვის ჩვენისა, შუამდგომელ იქმენ და მეოხარ ჩვენ ცოდვილთათვის, შენ წმინდად წოდებულო ღვთის მშობელო მსასოებელმან შენმან თაქთაქისძემ ----- აღვაშენე საყდარი ესე ჯვრისა ღვთის მშობლისა ----- ჩვენს ნასყიდს ალაგზედა ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად და ძმათა ჩვენთა არდაშელ, ფილიპე და ელისბარის სადღეგრძელოდ. ქრონიკონს ტნ“. „ტნ“ ე.ი 350 წ.

ეკლესია დაახლოებით 2000-2001 წლებიდან მოქმედი გახდა და ახლაც მიმდინარეობს ეკლესიის რესტავრაცია.

აქედან გამომდინარე, ეკლესია აშენებულია VXII საუკუნეში და დღეს უკვე სოფლის ცენტრში მდებარეობს, რომელსაც ქვემო ხვითის მცხოვრებნი ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიად მოიხსენიებენ.

ქვემო ხვითელები ამ ეკლესიას ეძახიან, თირის მონასტერში მდგარი ღვთისმშობლის ეკლესიის დას, ანუ დებად მოიხსენიებენ. ალბათ იმიტომ, რომ თირის მონასტერში, ჩრდილოეთით მინაშენზე დატანებულია წარწერიანი ქვა, რომელშიც იკითხება ქვემო ხვითის ღვთისმშობლის ეკლესიის მაშენებლის სახელები. ასე იკითხება: „ქრისტე, შეწევნითა ღვთისათა, მეოხებითა თავადების ღვთისმშობლისათა, ჩვენ - თაქთაქისძემ, მროველ ეპისკოპოზმან ფილიპემ, არდაშელმა, ჩემან ელიზბარ, აღვაშენეთ

საყდარი ესე წმინდისა ნიკოლოზისა სულისა ჩვენისა სახსრად, ოდეს ბედნიერის ხელმწიფისაგან ჩვენს ნათესავთა სასაფლაოდ, სამკვიდროდ, სამამულოდ მოსცემოდა ესე მონასტერი, მამა-პაპანი მარხულ იყვნეს, მათი მოშლა აღარ იქნებოდეს, ეკვედერი აღვაშენეთ, სასაფლაოს შეუმატეთ, ქორონიკონსა ტო“. „ტო“, ე.ი (370+1312) 1682 წელია (ნ. ანდლულაძე, 1976, გვ. 43).

ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში ყოფილა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ძვირფასი ქვებით იყო მოჭედილი. მოსახლეობა იხსენებს: ეს ხატი, როცა სამაჩაბლოში მოსალოცად მიჰყავდათ მსუბუქი იყო და თითქოს სახე უცნოდა, განათებული ქონდა, ხოლო, როცა იქიდან, ქვემო ხვითში, მოაბრძანებდნენ, ძალზედ დამძიმებული იყო და ურმით მოჰყავდათო. რატომ ხდებოდა ასე, ქვემო ხვითელებისთვისაც უცნობია.

სოფელში ასევე ყოფილა სამების ეკლესია და წმ. გიორგის ეკლესია, რომლის ნაფუძარიც დღეს აღარ არის. მათ შესახებ მხოლოდ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობიდან თუ შევიტყობთ.

სამების ეკლესია მდგარა სოფლის განაპირას, ჩრდილო-დასავლეთით. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლესია დარბაზულია (6 X 4,5 მ), ნაგებია რიყის ქვით, კუთხეები, კარი და სარკმლები ამოყვანილია ნაცრისფერი ტუფის ქვით. სამხრეთის ფასადზე, კარის თავზე ასომთავრული წარწერაა (იკითხება ნაწილობრივ). ეკლესიას შემოვლებული აქვს ტუფის ქვის თაროსებრი ლავგარდანი. მოგვიანებით ეკლესიის დასავლეთ ნაწილში, სახურავზე დაუშენებიათ ოთხივე მხარეს თალებით გახსნილი სამრეკლო, რომელიც ნაგებია კვადრატული აგურით (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი V, 1990, გვ. 115).

წმ. გიორგის ეკლესია იდგა სოფლის განაპირას, აღმოსავლეთით. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლესია დარბაზულია (12,2 X 7,2 მ), ნაგებია რიყის ქვით, კუთხეები, კარი და სარკმლები ამოყვანილია ტუფის ქვით (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი V, 1990, გვ. 116).

არსებული სიძველეთაგან აღსანიშნავია წმ. ნიკოლოზის ეკლესია. მისი აგების ისტორია დაკავშირებულია ბერ ბასილიძესთან და ქალბატონი ლელა ბასილიძე გვიამბობს პაპის ნამბობს: „ერთხელ, თურმე ლეკების მორიგი თარემის დროს, როდესაც

ხალხი ეკლესიის გალავანს იყო შეფარებული (საუბარია ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანზე) და ციხეში ჩაკეტილი, ბერ ბასილიძე ასულა ეკლესიის გალავანზე და თავისი ხირიმის თოფით მუკლავს ლეკთა რაზმის წინამძღოლი. უწინამძღოლოდ დარჩენილი ლეკთა რაზმი დაფანტულა. ბრძოლაში ბერ ბასილიძეს დაუკარგავს შვილი. ამ დროს სოფლის სასაფლაო ყოფილა, სოფლის ცენტრში, ღვთისმშობლის ეკლესიის შემოღობილ ეზოში. თავადებს თითქოს უნდოდათ ბერ ბასილიძესთან კეთილი მეზობლური დამოკიდებულება ჰქონოდათ, მაგრამ ექიშპებოდნენ კიდეც მას, ამიტომ არ მისცეს ნება, რომ თავის მიცვალებული საერთო სასაფლაოზე დაემარხა. ბერ ბასილიძე იძულებული გახდა თავისი საუკეთესო ცხენისა და იმ ხირიმის თოფის საფასურად, რომლითაც ლეკთა რაზმის წინამძღოლი მოკლა, ეყიდა მიწა, სადაც დაკრძალა შვილი. ამ ადგილას ამჟამად არის სოფლის სასაფლაო, მან თავის მიცვალებულს ზედ საყდარი დაადგა წმ. ნიკოლოზის სახელობის. დიდი ხნის მანძილზე თურმე მისი ანდერძი, საგვარეულო სასაფლაოზე სხვა გვარის მიცვალებულების დაკრძალვის ნებას არ აძლევდა“.

ამ ფაქტს, რომ ბერ ბასილიძემ ააშენა ქვემო ხვითში წმ. ნიკოლოზის ეკლესია გვიდასტურებს „არზა ბერ ბასილიძისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით“, რომელიც მიწერილია 1794 წ. 29 ოქტომბერს. სადაც წერს: „ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ომან ხერხეულიძის ყმას ქვემო ხვითელს ბასილიძე ბერს და მის ბიძაშვილებს გლახას, ივანეს და მოსეს.

მერე ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას. ღმერთმა ამისთანა საქმე თქვენს მტერს მოჰგვაროს, ჩვენ საქმე მოგვივიდა. ამ ზაფხულს ოცდაორის წლის ვაჟი კაცი შვილი მომიკვდა და თაქთაქიანთ კაცებმა არც საყდარში დაგვამარხებინეს და არც საყდარს გარეთ სასაფლაოში. ერთი კარგი ცხენი ვაძლივე საფლავის ფასად და არა ჰქნეს. მასუკან კიდეც ერთი სტამბოლის თოფი ვაძლივე, ხუთი-ექვსი თუმანი ღირს, მაგრამ გარეთაც არ დაგვამარხებინეს, საყდრის სიახლოვეს.

წავიღვე და სოფლის გარეთ ერთს მიდამოში დავმარხე. ღმერთმა ისე თქვენი მტერი შეაწუხოს, როგორც ჩემი გული ამან შეაწუხა. და ამას მეტი წამალი ვერა მოვიგონე რა ჩემს თავისთვისა, როგორც იქნება ჩემს თავს გავყიდი და ერთს საყდარს ავაშენებ.

თქვენგან ამის მოწყალების მეტი არ მინდა რა, რომ რაც უბრალო სოფლის ბეგარა მოვიდეს, ან სხვის შველა, ან სხვის უბრალოს კაცის შენობაზე მოხმარება, ან ჯვანა — ამაში არავინ გაგვართოს მე და ჩემი ორიოდ სამი ხიზანი. და რომელიც საერთოდ საქვეყნო ხარჯი იქნება, იმაზე კი თავს არ გაწყენთ. ღვინობისთვის კთ, ქრონიკონის უკბ.

თუ წლევეანდელი სუ[რ]სათიც გვეპატიება, ხომ დიდი წყალობა იქნება. და თუ არადა, ჩვენი თავი თქვენის ჭირის სანაცვლო იყოს. იმ საყდრის იქ აშენება საუკუნოდ თქვენი მოსახსენებელი იქნება.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანებაა, რომელიც წელს სურსათის მოასილნი იმყოფებოდეთ, ამ არზის პატრონის ორის კვამლისათვის საყდრის ასაშენებლად თქვენი შენაწერი სურსათი გვიპატიებია. და როგორც ამ არზით უთხოვნია, ვინემდის საყდარს ააშენებდის, ამათ არც სოფლის ბეგარასა და არც სხვას საშველად მუშაობაში გარევა არა იქნება, ასე იცოდეთ. ოკტომბრის კთ, ქრონიკონს უკბ.

სურსათი კი საყდარს შევსწირეთ ეკლესიას წლეულობით“

ერეკლე

(ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, 1985, გვ. 296-297).

არსებული სიძველეთაგან აღსანიშნავია ასევე, წმ. ბარბარეს ეკლესია, რომელიც დგას ბატონი ბორისო საგიაშვილის მიწაზე. აშენებულია 1996 წელს, ბორისო საგიაშვილის თაოსნობით და ქვემო ხვითში მცხოვრები ხალხის შეწევნით.

ბატონი ბორისო საგიაშვილი ამბობს, „ეკლესია აშენდა მაშინ, როდესაც ღვთისმშობლის ეკლესია უმოქმედოდ იყო. მისი თქმით, სადაც ეს ეკლესია მდებარეობს თურმე ამ ტერიტორიაზე ყოფილა „ბატონების კაკალი“. ბატონების კაკალი დაუყენებია მის წინაპრებს. მის მშობლებს, როდესაც სახლის მშენებლობა დაუწყიათ, მოუჭრიათ კაკალი. მაშინ შეუხსენებიათ, რომ ეს ბატონის კაკალია, მაგრამ ყურად არ უღიად. ბორისო საგიაშვილს მუდმივად ესმოდა, რომ ეს ეკლესიის მიწაა, ამიტომ ღვთისმომშიშმა კაცმა იმის მიზეზით, არაფერი მოსვლოდა, ღმერთი არ გაენაწყენებინა და ამასთანავე წინაპრების დანაშაულიც გამოესყიდა, ეკლესიის მშენებლობა დაიწყო და როგორც უკვე აღვნიშნე სოფლის მოსახლეობამაც დიდი წვლილი შეიტანა მშენებლობაში“.

ეკლესიაში წირვა აღევლინება მხოლოდ 17 დეკემბერს, ბარბარობას. ამას ალბათ ისიც განაპირობებს, რომ სამ სოფელს ერთი მოძღვარი ემსახურება და ფიზიკურად შეუძლებელია, რომ სამივე სოფელში, ყოველდღე, ყველა ეკლესიაში აღევლინებოდეს წირვა-ლოცვა.

ბატონი ბორისო გვინმარტავს მაშინდელ ერთგვარ ტრადიციას, როცა საღვთო რჯული მოიშალა და ხალხი თაყვანს სცემდა სხვადასხვა ნივთებს. სწორედ ამ კაკლის დაყენებაც მაშინ მოხდა.

ბატონების კაკლის დაყენება ხდება მას შემდეგ, როდესაც ოჯახს ბატონები ესტუმრებოდა, მაშინ ოჯახის ერთ-ერთი წევრი ჩაუთქვამდა, რომ ეს კაკალი ბატონის იქნებოდა და კაკლის ხეზე ამოკვეთავდა ჯვარს. ამ ამოკვეთილ ჯვარს კი გაუკეთებდა ბავშვს, რათა მაღალ სიცხეებს გაეგლო და ბატონები არ გასძნელებოდა. ასევე ბატონების საპატივსაცემოდ ბავშვს აცმევდნენ წითლებს, სოფლის მამიდა, სადაც ბავშვი იმყოფებოდა იმ ოთახში ყრიდა შაქარს და უმღეროდა, ასევე ანთებდნენ ბაზმას. ბაზმას ეძახიან, როდესაც ნაჭუჭიან კაკალს ცეცხლს მოუკიდებენ, ოღონდ ეს კაკალი უნდა იყვეს ბატონების კაკლის.

§ 2.2. კოშკი და ბასილიძიანთ ციხე

კოშკი, რომელიც დგას სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 1 კმ-ზე, გალავნებში, თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ცილინდრული კოშკი (დიამეტრით 7,5), ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. შენობა დაზიანებულია: შემორჩენილია პირველი სართული. კოშკში შესასვლელი ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარესაა. მის დასავლეთით ღრმა, თაღოვანი თაღაა, ხოლო აღმოსავლეთით, კედელზე დატანებულია მეორე სართულზე ასასვლელი კიბე. სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში სათოფურებია. პირველ სართულის გადახურვა გუმბათოვანი იყო (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი V, 1990, გვ. 115).

„არზა სულხან მდივნის შვილის ესავისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII- ის ოქმით”, რომელიც მიწერილია 1800 წლის 9 ოქტომბერს. სადაც წერია: „ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის კელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის სულხან მდივნის შვილის ესავისაგან.

ხვითსა და ხვითს შუა ჩვენი მამული არის და სანატრელის მეფის მოწყალებით კოშკის გაკეთებას ვაპირებთ. იმისის ოქმით, რომელს სოფელსაც რამდენი ურემიც აწერიათ საშენებელი ქვა და ქვიშა, ზოგს სოფელს მოუტანია და ზოგს აკლია, და ზოგს სოფელს სულ არ მოუტანია.

წყალობას ვითხოვ, როგორც იმის შეწერილს სახელდობ სოფლებს ეწეროს, ვისაც აკლდეს ოქმი და იასაული გვებოდოს, რომ მოიტანონ, რაც აწერიათ. ქვეყნის შესამატი საქმე. რა იქნება როგორც ნაბძანებია, ისე აღასრულონ. ოკდომბრის ბ, ქრონიკონს უპყ “ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, 1985, გვ. 677-678).

დღეს კოშკი განადგურებულია და მასზე შეგვიძლია მხოლოდ ცნობები მოვიპოვოთ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის წიგნში.

სოფელში ასევე ყოფილა ბასილიდიანთ ციხე, ამის შესახებ გვიყვება ქალბატონი ლელა ბასილიძე თავის პაპის ნამბობს: „იმ ხანებში გახშირებული ყოფილა დაღესტნელ ფეოდალთა თარეში ძარცვის მიზნით - „ლეკიანობა“. ამიტომ ბერ ბასილიძეს გადაუწყვეტია აუშენებინა ციხე-სიმაგრე. მას მოუვლია ახლო-მახლო ადგილები და შეურჩევია ციხის ადგილი. გადაუწყვეტია სასმელი წყალი ტბეთიდან გამოეყვანა, იქიდან თავქვე იყო და წყლის წამოყვანა არ გაუჭირდებოდა. ამ მიზნით დაამზადებინა თიხის მილები და ტბეთიდან დღემდე არსებულ ციხის ნაშთებამდე წყალი თიხის მილებით მოდიოდა.

ციხე-სიმაგრე აგებული იყო ლიახვის სიპი ქვით - სათოფურებით. ქვედა ნაწილში მოთავსებული იყო მარანი, ქვედა დარბაზი, ციხის წინ ყოფილა აუზი. ციხიდან ჯაკვით თუნგს ჩამოუშვებდნენ და წყალი აჰქონდათ, წყალი ციხეშიაც ქონიათ შეყვანილი. დარბაზს შესასვლელი ჰქონია დასავლეთის მხრიდან. დღესაც თუ იმ ადგილას, სადაც იყო ციხე-სიმაგრე საკმაო სიმძიმის საგანს დავარტყამთ, ისმის ყრუ ხმა, რაც იმის მანიშნებელია, რომ იქ ახლაც არის ის დარბაზი“.

§ 2.3. შინ მოუსვლელი ჯარისკაცის მემორიალი

სოფელში არის მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპული ჯარისკაცების, კერძოდ, ქვემო ხვითელების სახელების უკვდავსაყოფად გაკეთებული მემორიალი, რომელსაც სოფლის მაცხოვრებელი „ობელისკს“ უწოდებს. ამ ობელისკზე დგას ქანდაკება, ეს არ არის კონკრეტული ადამიანის სკულპტურა, ეს ეკუთვნის ყველა იმ პიროვნებას, რომელიც სახლიდან გავიდა სამშობლოს დასაცავად და შინ ვეღარ დაბრუნდა. ამიტომაც ეძახიან ამ ქანდაკებას „შინ მოუსვლელ ჯარისკაცს“. აქ ყოველ 9 მაისს იმართებოდა ღონისძიება ომის ვეტერანების საპატივსაცემოდ.

§ 2.4. საფლავის წარწერები

ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში შვიდი სასაფლაოა. სამი ჩრდილოეთით, სამიც სამხრეთით და ერთი საკურთხეველის წინ. საფლავის ქვები გაცვეთილია და ძნელად იკითხება, შესაძლებელია მხოლოდ ორიოდ ექვს ამოკითხვა. ერთ-ერთი საფლავი, რომელიც სამხრეთით არის, ასე იკითხება: „საფლავი ესე არის პოდაორუჩივის თავადის დავით ელიზბარის ძის თაქთაქოვისა წუთი სოფლის და მთმ-ბი შსწ(წ)რაფლიადის სიკვდილით ავღსრულდიწლისან. ვითხოვ ----- შენდობა. მიზრძანიათ წელს“. ამ წარწერით ვიგებთ, რომ აქ განისვენებს ელიზბარ თაქთაქოვის ძე დავითი. ეს ელიზბარი შესაძლებელია წარწერაში მოხსენებული ელიზბარია. აქედან შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთით დაკრძალულია ერთ-ერთი მაშენებლის შვილი.

ხოლო ჩრდილოეთით ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ვკითხულობთ: „აქ განისვენებს გვამი თავად არღაშელ თაქთაქოვის მეუღლე თამარ რომელიც გარდაიცვალა იანვარს 1880 წელს შობიდან 95 წლისა“.

ეკლესიის შესასვლელში ორი საფლავია აქაც მხოლოდ ერთის წაკითხვა შეიძლება მეორე დაზიანებულია. „აქ განისვენებს გვამი ალექსამდრე საჩინოს ძე თაქთაქოვის შობიდან 18 წლისა“.

ჩრდილოეთით კედელზე არის ჩაყოლილი საფლავის ქვა, რომელიც დაზიანებულია. ამ ქვით ვიგებთ, რომ ჩრდილოეთით კედლის ძირში განისვენებს „**კნენა ნინო ტ(პ)როფიმეს ასული დიმიტრი თაქთაკიშვილის ----- გარდაიცვალა 1908 წელს ----**“
---“. კნენა ნინოს შესახებ მოგვითხრო, მისმა მეხუთე თაობის შვილიშვილმა დავით თავყელიშვილმა. კნენა ნინო, გვარად წინამძღვრიშვილი, მეუღლე ყოფილა გიორგი თაქთაკიშვილისა, მათ ჰყოლიათ შვილი დიმიტრი (ტიტიკო).

ეკლესიის ეზოშიც, რამდენიმე საფლავის წარწერის ამოკითხვაა შესაძლებელი:

„ნინო გიორგის ასული მაჭავარიანი 1862-1915.

აი საფლავი ხალხის შვილისა მისთვისვე იყო თავდადებული და მას შესწირა

წრფელის გულითა გრძნობა და სიყვარული.

ძმობას, ერთობას, თავისუფლებას თვისი სიცოცხლე მას ანაცვალა გზა ეკლიანი გზა გოლგოთისაკენ ფუფუნებაში მან არ გაცვალა“. (მხოლოდ ამ საფლავს აქვს ჯვარი შემორჩენილი). ეს ქალბატონი გახლდათ ნინო ჯავახიშვილი, მეუღლე ილიკო მაჭავარიანისა, რომელმაც გახსნა უფასო სკოლა გლეხებისთვის.

„სონა ზურაბის ასული ზოზიაშვილისა. შობიდა 21 წ. გარდ 1922 წ. იანვრის 20-სა“.

„სოფიო გაბრიელის ასული საჩალელისა დაბადებიდ 23 წ. გარდაიც 1921 წ. ქრისტიშობ 21-სა“.

„ელისაბედ პერტრეს ასული, მეუღლე მღვდლის გალაკტიონ კვინიკაძის. 1896- 8 1921“.

§ 2.5. მარიამობა

28 აგვისტოს ქვემო ხვითელები აღნიშნავენ მარიამობას. 27 აგვისტოს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში აღევლინება წირვა-ლოცვა, ღამის თევით. მოსახლეობის უმრავლესობა ეკლესიაში ანთებს სანთელს, იტყვის უფლის სადიდებელს და ღვთისმშობელს შეავედრებს თავს, ამის შემდეგ კი თითქმის ყველა ოჯახიდან გაიგებთ ლხინის ხმას თავისი სადღეგრძელოებით. ასევე თუ ოჯახს ჰყავს ახალი გარდაცვლილი,

გადის სასაფლაოზე მზის ამოსვლამდე და გააქვს ცხვრის თავ-ფეხი, შემდეგ კი ჩვეულებრივად ლხინის სუფრას და მის სიმხიარულეს შეუერთდება.

§ 2.6. საკვირადლო

კვირამალს, კვირა დღის წინა საღამოს აღნიშნავენ. ამ დღეს რძის პროდუქტია მთავარი. პირველი წველის შემდეგ დამზადებული ყველისგან და ერბოსგან ამზადებენ ერბოს ხაჭაპურებს, ასევე კეთდება რძის ფლავი და იკვლება ქათამი. ამ დღეს ამთხვევენ ზედაშეს გატანასაც. ზედაშე არის სუფთა ღვინო, რომელსაც წვეთი წყალი არ აქვს და დაყენებულია ცალკე ჭურჭელში. სწორედ ამ დღეს ხსნიან პირველად, მიაქვთ ეკლესიაში და შემდეგ ისმევა საკვირადლოზე.

§ 2.7. მეკვლეობა

მართმადიდებლური კალენდრის მიხედვით 17 დეკემბერს აღინიშნება ბარბარობის დღესასწაული. ამ დღეს ყველა ოჯახში ცხვება ლობიანები. ჩვენთვის უცნობია მაინც და მაინც ლობიანები რატომ. სწორედ ამ დღეს უკავშირდება მეკვლეობაც. მეკვლე ის არის ვინც 17 დეკემბერს კარს პირველად შემოაღებს, მას მოაქვს ტკბილეული ოჯახში და უსურვებს ხვავს და ბარაქას. მასპინძელი მეკვლეს სვამს სიმინდზე, რამდენიმე წუთით, რათა წყნარი კრუხ-წიწილი ჰყავდეს და მთელმა წელმა მშვიდობიანად ჩაიაროს.

§ 2.8. ჭონა

სოფელ ქვემო ხვითში, ჭონა იწყება აღდგომის წინა დღეებში, კერძოდ, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს. ამ დღეებში, ჭონაზე გოგო-ბიჭები დადიან ყიჟინით, სახე შეღებილი. მასპინძელმა, რომ გამოიხედოს და ჭონის მთავარი სიმბოლო, კვერცხი,

გაუტანოს, გოგო-ბიჭები დოღზე დაკვრით და სიმღერით ცდილობენ ამას. ჭონის სიმღერები კი ასეთია:

„ალათასა, ბალათასა, ხელი ჩავე კალათასა, ბებო ერთი კვერცხი მომე, ხვალ დაგიდებს დედალიო ჭონაა“.

„წისქვილს პური დავაყარე, ჩამოვიდა ხრიალითა, ბებო ერთი კვერცხი მომე, ნუ გამხეთქავ ღრიალითა ჭონაა“.

„ახალი სახლი დაგიდგამს, შიგ ურევია ფიჭვიო, ღმერთმა ყველანი გიცოცხლოს, გოგო გყავდეს თუ ბიჭიო ჭონაა“.

„დათვი ხეზე მიდიოდა, თავი ოთხი ფეხითა, ბებო ერთი კვერცხი მომე, შენი კობტა ხელითა ჭონაა“.

„ველოსიპედით მივდიოდი, ჩამომიძვრა პედალი, ბები ერთი კვერცხი მომე, შენი ოქროს ხელითა ჭონაა“.

„კრიშას კენჭი შევაყარე, წამოვიდა ხრიალითა, ბები ერთი კვერცხი მომე, ნუ გამხეთქავ ღრიალითა ჭონაა“. ამ სიმღერების შემდეგ მასპინძელს გამოაქვს ჭონის მთავარი სიმბოლო უმი კვერცხი.

§ 2.9. ჭიაკოკონობა

ჭიაკოკონობა აღნიშნება ჭონის წინა ღამეს ოთხშაბათს. ყველა ოჯახი ანთებს დიდ კოცონს და ზედ ხტებიან ასეთი სიტყვებით „ალილუია ეშმაკებს“. ეს ტრადიცია დღეს ნაწილობრივ შემონახულია. ახლა ყველა ოჯახში არ ინთება კოცონი, მხოლოდ ახალგაზრდები ანთებენ ცარიელ ადგილას და არც ჭიაკოკონობისთვის დამახასიათებელ სიტყვებს ამბობენ, რადგან „ალილუია“ ნიშნავს დიდებას და ამით არა ვდევნით ეშმაკებს, არამედ თაყვანს ვცემთ.

§ 2.10. თაგოთაგოობა

თაგოთაგოობას აღნიშნავენ ყველიერის კვირაში. ეკლიანი ჯოხით ბავშვები შემოივლიდნენ მთელს სახლს ასეთი სიტყვებით: „თაგო, თაგო, გამოდი, ანგელოზო

შემოდი“. თან ქონის ქაღები უნდა მიერთვას და უნდა გაგეთავებინათ ამ ცერემონიალის დასრულებამდის, როცა სახლიდან გაიყვანდნენ თავგებს, მაშინ ღუმლიდან გამოღებულ ნაცარს ფეხებში მოგაყრიდნენ. თავგები უნდა გაგერეკა დაუსახლებელ ადგილისკენ, რადგან ოჯახში თავი აღარ შემოსულიყო. ეს ტრადიცია დღეს მხოლოდ სიტყვიერად არის შემორჩენილი, რომ დღეს „თაგოთაგობაა“, მაგრამ ცერემონიალი გამქრალია.

§ 2.11. ქათმის ხუთშაბათი

ქათმის ხუთშაბათი აღნიშნება ხორციელის შაბათის ანუ „კორკოტობის“ წინა ხუთშაბათს. ამ დღეს თითქმის ყველა ოჯახში იკვლება ქათამი მზის ჩასვლამდის, ცხვება სამი ცალი ერბოს ქადა და იხარშება სამი კვერცხი, ამის შემდეგ პურის კარადაში ვდებთ ამ ყველაფერს ერთ ჭიქა უსმელ წყალთან და ერთ ჭიქა ღვინოსთან ერთად, თან ვანთებთ კარადაში სანთელს, კარადის კარი ღია უნდა იყოს, სანამ სანთელი ჩაქრება. ეს ყველაფერი ხდება ანგელოზების საპატივსაცემოდ, რათა ბარაქიანი და უხვ მოსავლიანი წელი იყოს. ქათმის მარჯვენა ნაწილს პარასკევ დილით მიირთმევს მხოლოდ ოჯახის უფროსი, შემდეგ კი დანარჩენი წევრები. ქათმის ძვლები და კვერცხის ნაჭუჭები უნდა დაიწვას, მისი გადაყრა არ შეიძლება.

აქ წარმოდგენილი მასალიდან დავინახეთ, რომ ქვემო ხვითში არსებული სიძველეებიდან და წეს-ჩვეულებიდან ზოგი რამ დღეს აღარ არსებობს, დროთა სვლას ვერ გაუძლო. მაგალითად, სოფლის სიძველეებიდან, ეკლესია, რომელც მრავალ საუკუნეს ითვლის ორია: ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია და წმინდა ნიკოლოზის ეკლესია. აქედანაც ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიამ მდებარეობა შეიცვალა, აქამდე თუ აღნიშნავდნენ, რომ სოფლის განაპირა სასაფლაოზე დგასო, დღეს ის უკვე სოფლის ცენტრში, სასაფლაოზე დგას. ასევე სოფელში არის წმინდა ბარბარეს ეკლესია, რომელიც არსებობის რამდენიმე წელს ითვლის და შინ მოუსვლელი ჯარისკაცის მემორიალი ანუ ობელისკი. სამწუხაროდ ჩვენამდე ვერ მოაღწია წმინდა გიორგის და სამების ეკლესიებმა, ისინი ქვემო ხვითელთა მეხსიერებას არ შემოუნახავს და ძნელია განვსაზღვროთ მათი

ადგილმდებარეობა, ასევე ძნელია ვიმსჯელოთ კომპოზიციურად, რომელიც აღიგავა პირისაგან მიწისა.

რაც შეეხება წეს-ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ ქვემო ხვითისთვის დამახასიათებელი არ არის, ისინი ოდნავ განსხვავებული ფორმით შეიძლება აღმოვაჩინოთ შიდა ქართლის ნებისმიერ სოფელში. როგორც უკვე დავინახეთ, ქვემო ხვითში არსებული წეს-ჩვეულებებიდან, ზოგი რამ უკვე აღარ არსებობს, ან არსებობს ხალხის მეხსიერებაში, ან წეს-ჩვეულებებმა დაკარგეს ფასი, მაგრამ ძნელია მიაკვლიო მიზეზს თუ რატომ იკარგება ტრადიციები.

აქ გაშუქებული საფლავის წარწერები სრული სახით არ არის წარმოდგენილი, რადგან საფლავის ქვები გაცვეთილია და ამოკითხვა შეუძლებელია, ეს ყოველივე კი იმის მანიშნებელია, რომ ქვემო ხვითი მრავალ საუკუნოვან წარსულს ითვლის.

თავი III. სოფლის ტოპონიმები

§ 3.1. სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგია და სხვადასხვა სუფიქსიანი ტოპონიმები

სახელწოდების, ტოპონიმის ისტორია მოიცავს თავის თავში დიდ ლინგვო-ისტორიულ ინფორმაციას. ისინი ენის უაღრესად გამძლე ერთეულებია. მათ შეუძლიათ შეგვინარჩუნონ ხსოვნა გარდასულ დღეთა შესახებ, მოგვითხრონ თუ რა იყო ჩვენამდე ძალიან ადრე იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ.

სოფლის სახელწოდების შესახებ გავსუბრეთ სოფლის მოსახლეობას, რომლებმაც ასეთი რამ გვიამბეს: არსებული ლეგენდის თანახმად ჩვენს სოფელზე გამოუვლია ჩვენს სასიქადულო მეფეს-თამარს თავისი ლაშქრით, აქვე დაბინავებულა და რამდენიმე ღამეც გაუთევია. მის ჯარს, ცხენებს დაღლისაგან ხვითქი გადასვლიათ და სოფელისთვის თამარ მეფეს **ხვითქი** უწოდებია. არსებობს მეორე ვარიანტიც, ხვითქი არა ცხენებს, არამედ იქ მომუშავე ხალხს გადასდიოდათ. თამარ მეფეს, როცა გამოუვლია, დაუნახავს მინდორში მომუშავე ხალხი, რომელთაც სიცხისგან და შრომისაგან დაღლილებს ხვითქი გადასდიოდათ, თან ამ ხალხს თამარი გაუჭორავთ და მეფეს უთქვამს: სულ ასე ხვითქი გადაგდიოდეთო. ეს ხალხური ეტიმოლოგიაა.

ჩვენი აზრით, ტოპონიმი **ხვითი** დაკავშირებულია **ღმერთთან**. ის ძველ და საშუალ ქართულში თავისებური სახელია. როდესაც ამ სიტყვის თავისებურებაზე საუბრობენ, მხედველობაში აქვთ საშუალ ქართულში მომხდარი ფონეტიკური ცვლილება: ნათესაობით ბრუნვაში მ იქცა უ, რ- დაიკარგა და მივიღეთ ლუთისა, შემდეგ ლ→ხ-დ და ახალ ქართულში გვაქვს ხვითისა. სამი თანხმოვნის თავშეყრის ადგილას ვ-თ შორის ჩაერთო ი, დაიკარგა სა და მივიღეთ **ხვითი**. დროთა განმავლობაში კი სოფელი ორად გაიყო - ზემო და ქვემო ხვითად.

„ანდერძის წიგნი ქაიხოსრო აბაშიძისა თავისი ძმებისადმი“, რომელიც მიწერილია 1792 წლის 30 ოქტომბერს. ვკითხულობთ, ჩემმან ხელმწიფემ მეფემ ერეკლემ მიბოძა ხვითი და კუსირეთი, თუმცა ოქმი მარტო ჩემს სახელზედ არის, მაგრამ სამმო არის. (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, 1985, გვ. 921).

ქალბატონი ლელა ბასილიძე, იხსენებს პაპის ნათქვამს: „ქვემო ხვითი, სადაც ამჟამად მდებარეობს, იმ ადგილიდან სამიოდე კილომეტრის მოშორებით ყოფილა გაშენებული, რომელიც ლევთა შემოსევებს სამი კილომეტრით აქეთ გადმოუწევიათ.

ხვითი ძველად თურმე ორ უბნად იყოფოდა ზემოდ და ქვემოდ. ზემო უბანს „ბასილიძიანთ“ უბანს უწოდებენ, ხოლო ქვემო უბანს „ბითაძიანთ“, რადგან სხვა გვარებთან შედარებით ამ გვარის მოსახლეობა უფრო მეტი ყოფილა, მაგრამ ეს ორი გვარი ამ სოფლის მკვიდრნი არ ყოფილა“.

დღესაც არსებობს **ბასილიძიანთ უბანი**, რადგან აქ ძირითადად ბასილიძეების გვარი ცხოვრობს.

ნაცარ-გორა - ეს სახელიც თამარ მეფეს უკავშირდება, როდესაც მან ჩვენს სოფელზე გამოიარა, მისი ლაშქარი იმდენად ბევრი ყოფილა, რომ მათი ფეხთა მტვრისაგან საკმაოდ მოზრდილი გორა აღმართულა, რომელიც „ნაცარ-გორად“ იწოდება.

ყვავის საყდარა - თამარ მეფის ლაშქარს აქვე უსადილია, როდესაც ქვემო ხვითზე გაუვლია. მათთვის უშველებელ ქვაბში მოუხარშავთ სადილი. ამ ქვაბში შეუმჩნევლად გველი ჩამძვრალა. ეს ამბავი მახლობელ ხეზე მჯდარ ყვავს დაუნახავს, ის იყო ლაშქარი სადილად უნდა დამჯდარიყო, რომ ყვავს საშინელი ყრანტალი აუტეხავს და ქვაბის გარშემო შემფოთებული ფრენა დაუწყია, ლაშქარი ვერაფერს მიმხვდარა და ყვავი საჭმელში ჩავარდნილა, მაშინ კი მოუფიქრებიათ, რომ აქ რაღაც მოხდა. ქვაბი გადაცალეს და ნახეს, რა საშინელება მოელოდად ლაშქარს თუ ამ სადილს შეექცეოდა. მკვდარი ყვავი იქვე დაუსაფლავებიათ და ზედ საყდარი დაუდგამთ, ახლა ამ ადგილს „ყვავის საყდარას“ უწოდებენ.

ყვავის უაღრესად კეთილშობილურ საქციელსა და მისი ადამიანისთვის თანგანწირვის შესახებ ეს ლეგენდა ადრე სოფელ ქვემო ხვითშივე ჩაუწერია მკვლევარ ნ. ოქროპირიძეს. საინტერესოა მისი შეხედულება ამის შესახებ. გორის რაიონის სოფლებში - ქვემო ახალსოფელში, უფლისციხესა და შავშვებში დღემდე სასწაულით შერჩენილ ნანგრევებს ხალხი „ყვავის საყდარს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ ოდესღაც აქ ყვავის საპატივცემოდ აგებული საყდარი მდგარა, სოფელ ხურვალეთში კი ნასაყდრალი მაღალ მთაზეა. აქ ადრე ნიშიც ყოფილა „ყვავის პატივის მისაგებად. ყვავის საყდრის არსებობაზე

მიგვანიშნებენ აგრეთვე ტოპონიმები სოფელ ყელქცეულში, ხვითში, დისევში და სხვა. საცნაურია აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს ისტორიულ რუკაზე, რომელიც 1923 წელსაა გამოცემული, პროფესორ ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით, სოფლებს ბერბუკსა და სვენეთს შორის დაფიქსირებულია აგრეთვე სოფელი ყვავის საყდარი.

რით აიხსნება ის გარემოება, რომ ყვავი, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში და ცნობებში ყოველთვის უბედურების სიმბოლოდაა მიჩნეული და მისი ხსენებაც კი უსიამოვნო ასოციაციებთანაა დაკავშირებული, ხალხმა ესოდენ დიდი პატივი მიაგო, მის სახელობის საყდარიც კი ააგო? ხომ არ ბათილდება ამით ის ფაქტი, რომ ფრინველთა შორის ყვავიც და ყორანიც მხოლოდ უარყოფითი ნიშან-თვისების მატარებელია?

ყვავ-ყორანი რომ დასაბამიდანვე ისეთი „ცუდი რეპუტაციით“ არ სარგებლობდნენ როგორც დღეს, ამას ადასტურებენ ძველი წერილობითი ძეგლებიც. ვფიქრობთ, ეს იმ უხსოვარი ეპოქის გამოძახილი უნდა იყოს, როდესაც ჩვენი წინაპრებში ტოტემისტური რწმენა ბატონობდა და მისი ძალით ხსენებული ფრინველიც საკულტო არსებებად იყვნენ მიჩნეულნი. განა ყორანს არ დააკისრა უფალმა ღმერთმა ელია წინასწარმეტყველის გამოკვება უდაბნოში?.. ინგლისის მეფე კარლოსს ღრმად სწამდა, რომ თუ ტაუერის ციხე-კოშკს იქ მცხოვრები ყვავები დატოვებდნენ, ეს ციხის დაღუპვას უქადდა, ამიტომ იქ დღემდე მუდმივად ჰყავთ რამდენიმე ყვავი, მათ საგანგებოდ უვლიან და სამეფო გვარდიის წევრებად ითვლებიან (რ. გაჩეჩილაძე, დიდი ბრიტანეთი, 1973). სლავურ ლეგენდებსა და ზღაპრებში დაღუპული მზექაბუკისათვის მაცოცხლებელი უკვდავების წყლის მიტანა ყვავს აქვს დაკისრებული (ბროკჰაუზი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, ტ. VII). გრიგოლ რობაქიძესთან ვკითხულობთ: „სპარსელი ყორანს არ ჰკლავს ... ყორანი ფრინველია“ (გველის პერანგი).

VI საუკუნის ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის ბასილ დიდის ნაწარმოებში „ექუსთა დღეთა“, რომლის შესანიშნავი თარგმანი ქართულ ენაზე შესრულებულია გიორგი მთაწმინდელის მიერ, იმ თავში, სადაც ფრინველთა და ცხოველთა ამბებია აღწერილი, ნათქვამია: „სადაც ფრინველნი უცხო ქვეყნებისკენ მიემურებიან, მათ წინ უძღვიან ჩვენს შორის მყოფი ყვავები და, როგორც ვფიქრობ, ეხმარებიან რომელიღაც ფრინველთან ბრძოლაში...“

ჩანს, სწორედ სხვათა სიყვარულის ამ დაუწერელი რჯულის ყივილი იყო, როცა ყვავი, შეძრწუნებული გადაეშვა მდულარე წყალში სხვათა გადასარჩენად... იგი არ ასცდა გზას, რაც მას ბუნებამ დაუწესა, გზას სიკეთისას და თანგანწირვისას. ვფიქრობთ, აქ არის სამიებელი საფუძველი ლეგენდისა ყვავის საყდრის შესახებ (ნ. ოქროპირიძე, 2008, გვ. 31-33).

ანტონოვების ნაბადარი - ეს ტოპონიმი ნაწარმოებია წინა ვითარების სუფიქსით. თავად სახელწოდებაც გვეუბნება, რომ ამ ადგილას გაშენებული ყოფილა ვაშლის ჯიშის ერთი სახეობა, ანტონოვკა. დროთა განმავლობაში, კონკრეტულად, საბჭოთა მეურნეობის დაშლის შემდეგ, მოსახლეობას გადაეცა ეს მიწა და აღნიშნული ბაღი გაიჩეხა, მაგრამ სახელწოდება მაინც შემორჩა.

მარნეული - ეს ტოპონიმი მიღებულია ასოციაციის მეშვეობით. მოგეხსენებათ, რომ მარნეული განთქმულია ბოსტნეულის მოყვანით, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოდის პომინდორი და იმ ადგილასაც მთელ ფართობზე მოყავთ მხოლოდ პომინდორი, სხვა არაფერი და ამიტომ უწოდეს მას ეს სახელწოდება.

თაგვიყანა - ეს ტოპონიმი მიღებულია ორი სხვადასხვა ფუძეების შეერთებით. ამ ადგილს დაერქვა ეს სახელწოდება იმიტომ, რომ მომრავლებული ყოფილა დიდძალი თაგვი და ხალხს ყანასთან შეუდარებია.

§ 3.2. -ებ სუფიქსიანი ტოპონიმები

მუხები - არის სოფლის აღმოსავლეთით მდებარე მიწების სახელი. დღეს დღეობით აქ შემორჩენილია ერთი უზარმაზარი მუხა, ამ ადგილას წინათ ყოფილა სამი მუხა, რომლებიც ისე იყვნენ ამოსულები, რომ სამკუთხედს ქმნიდნენ, აქედან ერთი ხანძრის მსხვერპლი გამხდარა, ერთი მოუჭრიათ კოლექტივიზაციის დასაწყისში. არსებული მუხის გული გამომწვარია. იგი ორჯერ გადაურჩა ხანძარს და თუმცა ერთიღა დარჩა, მაინც მრავლობითში იხმარება მისი სახელი.

ეს მუხები სალოცავადაც არის გადაქცეული. მთავარანგელოზობას ხალხი გადიოდა მუხებზე, სანთელს ანთებდა და ლხინსაც შეექცეოდნენ. აქ, ბასილიძეები გადიოდნენ. ასეთი სალოცავი აქვთ ბითამეებსაც, ოღონდ მათი ვერხვია. დღეს ვერ ვიტყვით, რომ ეს ერთგვარი ტრადიცია ბოლომდე მოშლილია და ვერც იმას, რომ არსებობს, რადგან დღეს უკვე ვერხვზეც და მუხაზეც მთავარანგელოზობას თითო-ოროლა ადამიანი მაინც მივა და სანთელს აანთებს.

გაჩნდება კითხვა, რატომ მაინც და მაინც ეს ორი ხე და სხვა არა? როგორც ქვემო ხვითელები გვიამბობენ ამ ორ ხეზე დამჯდარა ანგელოზი მთავარანგელოზობას და მის მერე სცემენ თაყვანს.

საერთოდ ეს ის პერიოდია, როცა ხალხი თაყვანს სცემდა სხვადასხვა საგნებს თუ ნივთებს და სწორედ ეს ამდაგვარი ტრადიციათა გადმონაშთია.

ხირხოტები - დაერქვა იმიტომ, რომ ურწყავი მიწა იყო და არაფერი მოდიოდა.

ზალიბაგები - ამ ადგილს რატომ ქვია ეს სახელი გაურკვეველია. შეიძლება საკუთარ სახელ ზაალთან იყოს დაკავშირებული.

წურია მიწები - ამ ადგილს რატომ დაერქვა ეს სახელწოდება უცნობია. ჩემი აზრით, შეიძლება ამ ადგილას ნაწური წყალი ჩაედინებოდა.

ლამები - დაერქვა იმიტომ, რომ მიწა ხშირი წყლისგან ლამიანია.

დიდი მაცივრები - ამ ადგილას მეთესლეულობის, საბჭოთა მეურნეობის, დროს აუშენებით მოცულობით დიდი მაცივარი, სადაც თესლებს ინახავდნენ და ამიტომ ამ ადგილს უწოდეს ეს სახელწოდება, ოღონდ -ებ სუფიქსით არის ნაწარმოები.

პატარა მაცივრები - ამ ადგილასაც მეთესლეულობის, საბჭოთა მეურნეობის, დროს აუშენებიათ მოცულობით პატარა მაცივარი, სადაც ინახებოდა შხამ-ქიმიკატები და ამ ადგილას ამიტომ უწოდეს ეს ტოპონიმი, ოღონდ -ებ სუფიქსიანი ფორმით.

გარაჟების წინ/უკან - საბჭოთა მეურნეობის დროს აშენებული იყო ტექნიკის სადგომის სპეციალური ნაგებობა. რუსულ ენაში ამ სადგომს „გარაჟი“ ეწოდება და აქედან გამომდინარე, ამ ადგილსაც ეს სახელწოდება შეერქვა, ოღონდ ადგილის ზმნიზედის დართვით.

როგოც ზემოთაღნიშნულ, ასევე უამრავ სხვა მაგალითებშიც, ტოპონიმთა მაწარმოებელი -ებ სუფიქსი არ არის მრავლობითობის შინაარსისი მაჩვენებელი. იგი ტოპონიმის აპელატივისაგან განმასხვებელი ფორმალური ხერხია. მაგ.: მუხა, ლამი ... აპელატივებია, საზოგადო სხელებია ხოლო მუხები, ლამები ... ადგილის სახელწოდებაა, ტოპონიმია და სხვა.

პ. ჯაჯანიძის აზრით, -ებ სუფიქსი გეოგრაფიული სუბიექტის სიდიდეზეც უნდა მიგვანიშნებდეს (პ. ჯაჯანიძე, 1976, გვ.11).

§ 3.3. -იან(ი) სუფიქსიანი ტოპონიმები

ასიანი - დარქმევია იმიტომ, რომ რუებს შორის ფართობი ასი ჰექტარია.

ჭაობიანი - დაერქვა იმიტომ, რომ მუდმივად იტბორებოდა და ჭაობდებოდა. დროთა განმავლობაში გაიწმინდა ეს ადგილი და დღეს უკვე მუშავდება, მაგრამ სახელი მაინც შემორჩა.

ამოუწურავია ადამიანის გონითი შემოქმედება ადგილის სახელწოდების მომენტში. თვით სახელდება ეს არის პროცესი ობიექტური სინამდვილის რეალობის გაცნობიერებისა, გაადამიანურებისა. იქნება ეს პიტალო კლდე, მოჩუხჩუხე წყარო, უნაყოფო მიწა თუ გადამხმარი ტყე და, როდესაც ადამიანი სახელდებისას უსულო საგანს სუბიექტური თვალთახედვის პრიზმაში წარმოსახავს, საგნებიც, თითქოს მათ ადამიანური სული შთაბერესო, ცოცხლდებიან, მეტყველნი ხდებიან ჩვენთვის. ამაშია ხალხური მახვილგონიერების დაუშრეტელი ძალა, ხალხური შემოქმედების სიბრძნე (ნ. ოქროპირიძე, 2008, გვ. 24).

§ 3.4. პრეფიქს - სუფიქსული წარმოქმნა (სა-ე)

საჩიტე - იმიტომ შეურქმევიათ ამ ადგილისთვის, რომ აქ ბევრი ჩიტი ყოფილა.

სათიხე - ეწოდება იმ ადგილს, სადაც თიხიანი მიწაა.

აქ წარმოდგენილი სოფლის ტოპონიმები, ზოგი მრავალ საუკუნოვან არსებობას ითვლის, რომელმაც თავის ისტორია არ დაკარგა, ასევე არის ტოპონიმები, რომელიც სათესლე სამეურნეო ნაგებობების შემდეგ გაჩნდა, არის ახალი ტოპონიმებიც, რომელიც ასოციაციის გზით არის მიღებული (მარნეული). დანარჩენი ტოპონიმი შერქმეულია ნიადაგის, ფართობის და სხვადასხვა მსგავსების გამო. ქვემო ხვითში არსებული ტოპონიმებიდან ზოგი სახელწოდება შეიძლება განმეორდეს შიდა ქართლის რომელიმე სოფელში, მაგრამ თუ რატომ დაერქვა ეს სახელი ამ ადგილს მისი შინაარსი განსხვავებული შეიძლება იყოს.

თავი IV. გვარ - სახელები

§ 4.1. გვარის შესახებ სხვადასხვა მკვლევარის ნაზრები

ონომასტიკური კვლევისათვის საკმაოდ საინტერესო მასალას გვაწვდის ჩვენს სოფელში დაცული გვარსახელები. ჩვენ შევეცადეთ აღვვენუსხა სოფელში დაცული გვარსახელები, მაგრამ სანამ უშუალოდ სოფელში მცხოვრები გვარების შესახებ ვისაუბრებთ, მანამდე განვმარტოთ გვარი სხვადასხვა მკვლევარების ნაზრების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ „დღევანდელი კაცობრიობისათვის გვარი, როგორც სოციალურ - სამართლებრივი კატეგორია, იმდენად ბუნებრივი და აუცილებელი მოთხოვნილებაა, რომ საკვირველიცაა, როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები მის გარეშე...

თავდაპირველად პიროვნული სახელი საკმარისი იყო პიროვნების სახელდებისა, სხვათაგან გამორჩევისა და ინდენტიფიკაციისათვის“ (პ. ცხადაია, 2005, გვ. 126). ზურაბ ჭუმბურიძე აღნიშნავს, რომ ეს ხდებოდა მაშინ, „ვიდრე ადამიანები მცირერიცხოვან ტომებად იყვნენ დაფანტული და ტომებს შორის მჭიდრო კავშირი არ არსებობდა, მანამ შეიძლებოდა ტომის ყველა წევრს სხვადასხვა სახელი რქმეოდა და მარტო სახელითაც მიხვდებოდნენ, ვის ეხებოდა საუბარი. მაგრამ კაცობრიობა დიდი ხანია გასცდა ტომობრივი კარჩაკეტილობის ხანას. შრომის განაწილება, მოსახლეობის ზრდა, ტომებს შორის ურთიერთობის გაცხოველება და ხალხის უფრო მრავალრიცხოვან კოლექტივად ჩამოყალიბება აუცილებელს ხდიდა არა მარტო იმის ცოდნას, თუ რა ჰქვია ამა და ამ პირს, არამედ - რა ხელობის კაცია იგი, ვისი შთამომავალია, სადაურია და ა.შ. ამრიგად, სახელის გვერდით გაჩნდა კიდევ მეორე, დამატებითი სახელი, რომელიც აზუსტებდა პიროვნების ვინაობას, მეტ ცნობებს იძლეოდა მასზე და თანაც აადვილებდა ერთი სახელის მქონე პირების - სეხნიების გარჩევას. აი, ამ დამატებით სახელიდან დროთა განმავლობაში წარმოიშვა გვარი, როგორც პიროვნული სახელის თანმხლები განუყრელი ნაწილი“ (ზ. ჭუმბურიძე, 2003, გვ. 68 – 69).

ამიტომაც „პირის ვინაობის დაკონკრეტების მიზნით მეორე სახელის გამოყენების ტრადიციას თანდათანობით ჩაეყარა საფუძველი. პირსახელს ემატებოდა მამიშვილობის ან პაპიშვილიშვილობის აღნიშვნა, საერო, სასულიერო თუ სამხედრო თანამდებობის, ან მოხელეობა - მოსაქმეობის აღმნიშვნელი ტერმინები, ზედწოდება, მეტსახელი და ა.შ. მაგრამ ეს მეორე სახელი არ იყო მემკვიდრეობითი, არ გადადიოდა მომდევნო თაობაზე. დროთა განმავლობაში მრავალ ხალხში წარმოიქმნა საოჯახო სახელებიც, რომლებსაც გარდამავალ ფორმებად თვლიან: გვარსახელები სწორედ მათგან წარმოიშვა (პ. ცხადაია, 2005, გვ. 128).

როლანდ თოფჩიშვილს ქართულ გვარსახელების შესახებ მოჰყავს აკაკი შანიძის თვალსაზრისი: „ქართული სახელებისა და გვარების შესახებ შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს და მაინც არ იქნეს ამოწურული მთელი სიღრმე-სიგანით ეს მეტად საინტერესო უბანი ქართული ენისა, სადაც ქართველი ერის ისტორიის ესა თუ ის მხარეა ასახული“.

ისმის კითხვა: რა არის გვარსახელი? მეცნიერებაში არსებობს ამ ტერმინის ზოგადი განმარტება. გვარსახელს უწოდებენ საზოგადოების პირველადი უჯრედის ოჯახის მემკვიდრეობით სახელს, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის. როლანდ თოფჩიშვილის თვალსაზრისით, ეს განმარტება მაინცდამაინც მთლად ზუსტი და სრულყოფილი არაა. იგი შეიძლება მიესადაგებოდეს იმ ქვეყნის გვარსახელებს, სადაც ის შედარებით ახალი XVIII – XIX სს-ის წარმონაქმნი მოვლენაა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იმ ქვეყნებს, რომლებშიც საუკუნის განმავლობაში ტრადიციულად გადაეცემა თაობიდან თაობას. მოკლედ, აქ იმას აღვნიშნავ, რომ გვარსახელი ქართული სინამდვილისთვის მხოლოდ ოჯახის, ამ პირველადი სოციალური უჯრედის დამახასიათებელი მოვლენა არ არის. ის უფრო დიდი სოციალური ერთეულის, რამდენიმე ათეული და ხშირად ასეული ოჯახის სახელწოდებაა. სახელწოდება იმ სოციალური ორგანიზმისა, რომლებიც თავიანთი გვარის წარმომავლობას ერთი პიროვნებიდან ანგარიშობენ და აქვთ საერთო თვითშეგნება ნათესაობის შესახებ, ხშირად საერთო სალოცავიც. საქართველოში გვარს ერთგვარი ფსიქოლოგიური დატვირთვაც აქვს. ასე რომ, გვარსახელი ჩვენში მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ოჯახის სახელწოდება

როდია. ის ოჯახზე უფრო მსხვილი ნათესაური გაერთიანების მემკვიდრეობითი სახელწოდებაა.

მსოფლიოს მრავალ ხალხში, პირველყოფილი გვარის დაშლის შემდეგ, გვარსახელები არ წარმოქმნილა. ჩვენთან წარმოიქმნა, რისი მიზეზიც იყო სოციალური სისტემა. მხედველობაში გვაქვს ქართული ფეოდალიზმი. გვარი საქართველოში მემკვიდრეობის გადაცემის ერთ-ერთი საშუალებაც იყო. აქ საუბარია, როგორც ყმის მემკვიდრეობით ფლობაზე (ესა თუ ის გვარი ამა თუ იმ ფეოდალს ეკუთვნოდა), ისე მიწის მემკვიდრეობით გადაცემაზე საზოგადოების ყველა ფენაში; დაასკვნის მკვლევარი და ამბობს, რომ გვარსახელი არის ის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც სულ ცოტა სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

როლანდ თოფჩიშვილი ასკვნის რომ, საქართველოში გვარსახელები ძალიან დიდი ხნის წარმოქმნილი მოვლენაა, რომ ჩვენში გვარსახელი პირდაპირ გვაროვნული გვარიდან წარმოიშვა. ასე რომ, ქართული გვარსახელი ქართული სახელმწიფოებრიობის და ქართველი ერის თანმდებია (რ. თოფჩიშვილი, 2005, გვ. 273-276).

გვარსახელი როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ფაქტია. იგი შეისწავლება სამი ასპექტით: ენათმეცნიერული, ისტორიული, ეთნოგრაფიული. ენათმეცნიერს აინტერესებს გვარსახელთა სემანტიკა და სტრუქტურა, ძირეული და წარმოქმნილი მორფემები, სინქრონული და დიაქრონული შრეები, ონიმიზაციისა და ტრანსონიმიზაციის მექანიზმის მოქმედება და ა.შ. (პ. ცხადაია, 2005, გვ. 136-137).

ზურაბ ჭუმბურიძე წერს: „გვარები შეიძლება დავაჯგუფოთ როგორც მაწარმოებელთა მიხედვით, ისე იმ ძირეული სიტყვების მიხედვითაც, რომელთაგანაც ამა თუ იმ სიტყვის ან აფიქსის მეშვეობით იწარმოება გვარი. ქართული გვარები, ისევე როგორც სხვადასხვა ხალხთა გვარების უდიდესი ნაწილი, წარმოქმნილია სახელებისა და მეტსახელებისაგან (ეპონიმებისაგან). ხშირად გვხვდება აგრეთვე გვარები, რომლებიც მიგვითითებენ სადაურობა-წარმომავლობაზე, ხელობასა თუ თანამდებობაზე. ზოგჯერ გვარი შეიცავს პიროვნების შეფასება-დახასიათებას რაიმე ნიშნის მიხედვით. ასევე გვარები წარმომდგარია მცენარეების, ცხოველების, ფრინველების, სხვადასხვა საგნის სახელებისაგან. ასეთ შემთხვევაში სავარაუდებელია, რომ ისინი მეტწილად ადამიანის

საკუთარ სახელად ან მეტსახელად უნდა ყოფილიყვნენ უწინ გამოყენებული და ამ გზით იქცნენ გვარის შემადგენელ ნაწილად“ (ზ. ჭუმბურიძე, 2003, გვ. 76).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გვარის შვიდი მნიშვნელობაა აღნიშნული. მაგალითისთვის მოვიყვანთ რამდენიმე განმარტებას: 1. საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან) ან ცოლს ქმრისაგან... 2. პირველყოფილ თემურ წყობილებაში - ძირითადი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, კავშირი დიდი ოჯახებისა, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან და ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში იმყოფებიან... (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, 1951, გვ. 1433).

მკვლევარი იაკობ ახუაშვილი მეტად საინტერესო მოსაზრებას გვაწვდის გვარის შესახებ ქართული გვარის სინონიმია სიტყვა გორი, ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“ გოჩა თავის ერთადერთ ვაჟს, ონისეს, უდიდეს განსაცდელის ჟამს სამშობლოს დასაცავად ისტუმრებს და ღრმა შთაგონებით არიგებს, მთელ თავის პატრიოტულ მგზნებარებას იგი გვარის ღირსებაზე მითითებით გამოხატავს და ეუბნება შვილს - გახსოვდეს, ვისი გორისაც ხარო! ხევისბერის მეტყველებაში გვარი გორად გამოითქმის. სიტყვის ამ ფორმით ხმარება, საერთოდ, დამახასიათებელია მთის კილოებისათვის, სადაც რეალიზებულია ვა კომპლექსის შენაცვლება ო ხმოვნით. გორი ამავე დროს ფიზიკურ - გეოგრაფიული ტერმინიც არის და გარკვეულ სემანტიკურ კავშირს ამჟღავნებს გვართან, როგორც სოციალურ ტერმინთან. საქმე ის არის, რომ გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით არქეოლოგები ასკვნიან: საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა „გორებად“ დასახლების ტრადიცია, რაც პირვანდელ გვაროვნულ სოციალურ წყობას შეესაბამებოდა. ირკვევა, რომ თითოეულ გორაზე ცალკეული გვარი ან გვართა გაერთიანება ცხოვრობდა: გვაროვნული დასახელება „გორულ“ დასახელებასაც ემთხვეოდა. ამიტომაც ტერმინებიც გვარი და გორი ერთი ცნების აღმნიშვნელად გამოიყურებიან. შემთხვევით არ უნდა იყოს, რომ საქართველოს ტოპონიმიკაში გორ ძირი მასობრივად ისმის და მას ზოგჯერ გვარ ძირიც ენაცვლება (ი. ახუაშვილი, 1994, გვ. 13).

მკვლევარი ილია ჭყონია მეგრული სიტყვის „ნიგორის“ განხილვისას აღნიშნავს, რომ: „განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს „ნიგორი“ მეგრულში, არა მხოლოდ იმის გამო, რომ მასში „ჯიმიც“ იგულისხმება, არამედ იმიტაც რომ ამ ტერმინში ფუძე „გორ“-ი ჩანს და იგი ქართულ „გვარს“ უნდა შეესატყვისებოდეს“ (ი.ჭყონია, 1955, გვ 83-84).

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ქართულ გვარსახელებს დიდი ხნის ისტორია აქვთ. ამას ადასტურებს გვარების მოხსენება ადრეულ დოკუმენტებში.

§ 4.2. -ძე სუფიქსიანი გვარებ

ქვემო ხვითში დასტურდება შემდეგი სუფიქსიანი გვარები: -ძე, -შვილი, -ელი, -ური, -ანი, -ი. ამათგან ყველაზე გავრცელებულია -ძე და -შვილი სუფიქსიანი გვარები. სოფელში ყველაზე გავრცელებული გვარებია ბასილიძე და ბითაძე.

ქვემო ხვითში 37 გვარია. ეს გვარებია:

1. არაბაშვილი
2. ბასილიძე
3. ბითაძე
4. ბეჟანიშვილი
5. გაგლოშვილი
6. გალავანაშვილი
7. გვიშიანი
8. გონიაშვილი
9. დაჰკოშვილი
10. ებიტაშვილი / ეპიტაშვილი
11. ედიშერაშვილი
12. ვახტანგაშვილი
13. ზანგალაძე
14. ზოზიაშვილი
15. თავყელიშვილი

16. თაქთაქიშვილი
17. კერესელიძე
18. კობალაძე
19. ლაზარაშვილი
20. ლაცაბიძე
21. მაისურაძე
22. მარგველაშვილი
23. მაჩაბელი
24. მეგრელიშვილი
25. მესხი
26. მიდოდაშვილი
27. მწყერაძე
28. ნიკუჭაძე
29. საგიაშვილი
30. სანიკიძე
31. ურჯუმელაშვილი
32. ყულიაშვილი
33. ჭულუხაძე
34. ხეთაგური
35. ხათაშვილი
36. ხუციშვილი
37. ჯიოშვილი

ქვემო ხვითში ასევე ყოფილა შემდეგი გვარები:

- 1) დიასამიძე
- 2) მაჭავარიანი

ბასილიძე - ლელა ბასილიძის თქმით, მისი წინაპარი უხსოვარი დროიდან გადმოსახლებულან ქვემო ხვითში. გვარის წინაპარი რაჭიდან ყოფილა წარმოშობით.

ბასილიძეთა წინაპარს ვერ აუტანია ბატონის უდიერი საქციელი და ამიტომ წამოსულა მშობლიური კუთხიდან. კარგა ხნის შემდეგ ბასილიძე რაჭაში წასულა მალულად მშობლების სანახავად. იქ გაიგო, რომ ბატონი მის მშობლებს უდიერად ეპყრობოდა. თავისუფლებისმოყვარე ჭაბუკმა გადაწყვიტა სამაგიერო მიეზღო ბატონისათვის და შეასრულა კიდეც, გამოიტაცა ბატონის ასული და გამოიქცა. მან ქალი საკუთარ ერდოიან სახლში მიიყვანა, ასეთი ბინა მიწაში იყო ჩათხრილი და სახურავიც მიწისვე ჰქონდა, ამ სახლის გვერდით მიწის კედელში გააკეთა გვირაბი-დილეგი და დაახლოებით სამი წლის მანძილზე აქ ჰყავდა დამალული. მას ემინოდა ბატონების დაბეზღებისა. ერდოიან სახლში მალულად ყოფნისას ბასილიძეს დიდი წვერი გაზდია, რის გამოც დაერქვა ბერ- ბასილიძე. ადგილობრივი თავადები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ თავიანთ გავლენის ქვეშ მოექციათ ეს კაცი, მაგრამ ვერ ახერხებდნენ.

როდესაც ბერ - ბასილიძე თავისი ცოლ-შვილით სამზეოზე გამოვიდა, მშობლებს შეატყობინა თავისი ადგილსამყოფელი. ეს ამბავი გაიგეს ქალის მშობლებმაც და მოაკითხეს. ადგილობრივ თავადებს კარგად დაუხასიათებიათ ბერ - ბასილიძე და ურჩევიათ მათთვის შერიგება, ეს ამბავი მშვიდობიანად დამთვარებულა.

ამ გვარს აქვს ორი განშტოება:

1) **ზიბილოანთი** - ბასილიძეების ერთ-ერთ წინაპარს მეტსახელად ერქვა ზიბილო და მათ შთამომავლობასაც ზიბილოანთს ეძახიან.

2) **ტულიანთი** - ერთ-ერთ ბასილიძეს მეტსახელად ტულია ერქვა და მის შთამომავლობას ტულიანთს ეძახიან.

ბითაძე - სოფელში ბითაძეების გამოკითხვის შედეგად დავადგინეთ, რომ ჯავახეთიდან არიან, შემდეგ ბორჯომში დასახლდნენ და მერე ქვემო ხვითში მოსულან. იმასაც დასძენენ, რომ რადგანაც თავთაქიშვილები ცნობილია, რომ სამცხე-ჯავახეთიდან არიან, შეიძლება მათ მოგვიყვანესო. „ქართული სამართლის ძეგლებში“ აღნიშნულია, რომ ბითაძეები ყოფილან თავთაქიშვილების ყმები, რასაც ადასტურებს „არზა იესე თავთაქიშვილისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით“, რომელიც მიწერილია 1796 წლის 7 ივნისს.

ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწას თაქთაქიშვილს იესეს. მე ამას მოგახსენებ თქვენს უმაღლესობას: რველი და რველელი კაცნი და ქვემო ხვითს ჩემი წილის ნახევარი მეზოძა. ეს რველელები სულ აყრილნი არიან და სხვა სოფლებში დგანან.

ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ დავით ამირეჯიბზე ერთი ოქმი მეზოდოს, - საცა ამ სიით ეს ჩემი კაცნი რველელები იდგნენ, ამიყაროს და მამაბაროს.

ქ. ორი კომლი კაცნი - ბითაძე ივანე და მარგველაშვილი შიო ჭალას არიან.

ქ. ერთი კომლი ლაცაბიძე ხიზანა აბის[ს] არის, რომ ქაიხოსრო აბაშიძემ და და მმა წა[ა]რთ[ო].

ქ. ორი კომლი ბითაძე ნადირა და მანძულა ბრეთს დგანან, პეტრეს ეჭირნენ.

ქ. პეტრე ავალიშვილს რომ ბითაძე[ე]ბი ყავს, თქვენი ბრძანება მაქვს: მე რომ რველელები არავისთვის გვიბოდებია... და ა. შ. (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, 1985, გვ. 371).

ის ფაქტი რომ ბითაძეები თაქთაქიშვილების ყმები იყვნენ ამტკიცებს კიდევ „არზა ელისბარ თაქთაქიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით“, რმელიც მიწერილია 1764 წლის 7 მარტს: ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მათ მიწას ელისბარ თაქთაქიშვილს მოსცეს.

ჩემი მემკვიდრე რველელი ბითაძე გიორგი თავის ძმებით პეტრეს ავალიშვილს ყვანდა, ბატონთან ვილაპარაკეთ, სამართალი მე დამრჩა. ალექსანდრე სარდალი იასაულით მიბოძა, ამიყარა ის კაცი და მე მომცა. ახლა ისევ პეტრესთან მივიდნენ. ამ წყალობას ვითხოვ, რომ ისევ ალექსანდრეს ოქმი უბოდონ, რომ ჩემი ყმა გამომირთოს (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, 1981, გვ. 72).

ამ გვარს აქვს ოთხი განშტოება:

1) **ჭიჭიანთი** - ბითაძეების ერთ-ერთ წინაპარს მეტსახელად ერქვა ჭიჭია და მათ შთამომავლობას ჭიჭიანთს უწოდებენ.

2) **ჭიოანთი** - ერთ-ერთ ბითაძეს მეტსახელად ჭიო ერქვა და მის შთამომავლობას დღეს ჭიოანთს ეძახიან.

3) **ზურაბაანთი** - ამ განშტოებასაც დაედო საფუძვლად მათი წინაპრის სახელი.

4) **ჯავახიანთი** - ამ განშტოებას წარმომავლობის მიხედვით ეძახიან და მათი შთამომავლობაც ასე მოიხსენიება.

ბუზალაძე - გვარის ფუძე ბუზ, რომელსაც ნაწილაკი **ლა** და სუფიქსი **ძე** ემატება. ისტორიულ დოკუმენტებში გვარი ბუზალაძე 1688-1703 წლებში გვხვდება. დაკარგული ყმა-მამულის ნუსხაში აღნიშნულია, რომ ბუზალაძის საკომლო მიწები გუნდიაშვილს მიჰყიდეს (იპოვე შენი გვარი და შენი წარსული - ინფორმაცია, რომელსაც საკუთარ ფეხვებზე უნდა ფლობდე, <http://www.Literature.mcvane.ge>). ქვემო ხვითში ექვსი ოჯახია.

ლაცაბიძე - ბატონი გიორგი ლაცაბიძის თქმით, ყოფილა ვინმე ლაცაბ დადემქელიანი, სვანეთიდან, რომელსაც ჰყოლია სამი ვაჟი, იგი ბატონს გამოეყცა და დასახლდა იმერეთში. იმის მიზნით, რომ ბატონს არ ეპოვა გვარი შეუცვლია. თავიდან ამ გვარს იმის აღსანიშნავად გამოიყენებდნენ, რომ ლაცაბის ძეები იყვნენ, ხოლო დროთა განმავლობაში გვარის სახე მიიღო. (ეს ნაკლებ სარწმუნოა, რადგან დადემქელიანი სვანური მაღალი წოდების გვარია, მას ბატონი ვერ ეყოლებოდა).

1796 წლის 7 ივნისს მიწერილი „არზა იესე თაქთაქიშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით“, რომელიც ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ, მაშინ ლაცაბიძეები თაქთაქიშვილების ყმები არიან და რვალიდან მოსულნი.

დღეს სოფელში 13 ოჯახია, როგორც აღნიშნავენ 2 ოჯახი ზემო ხვითშიც არის, მაგრამ არანაირი კავშირი არ აქვთ მასთან. ამ გვარის ხუთი შტო გამოიყოფა:

- 1) **სულიკოაანთი** - ლაცაბიძეების გვარის ამ განშტოებას საფუძვლად დაედო მათი წინაპრის სახახელი.
- 2) **ჭყიმაანთი** - ამ განშტოებას საფუძვლად დაედო ერთ-ერთი წინაპრის მეტსახელი.
- 3) **იობაანთი** - მომდინარეობს წინაპრის სახელიდან.
- 4) **ზადილაანთი** - საფუძვლად დაედო ერთ-ერთი წინაპრის მეტსახელი.
- 5) **პეტრეაანთი** - ლაცაბიძეების ერთ-ერთ წინაპარს ერქვა პეტრე და მომდინარეობს იქიდან.

ამ განშტოების სახელები ზოგიერთი უკვე იცვლება, იქმნება ახლებიც. მაგალითად, **პემკანთი**, **ღორჯოანთი**, **ვაჭაროანთი**. ამ განშტოებების სახელებიც მომდინარეობს მეტსახელებიდან.

მაისურაძე - საკუთარი სახელიდან მომდინარეობს **მაისურა**, **მაისურ**, **მაისურა**. მაისში დაბადებულთათვის დარქმეული, როგორც ანალოგიურია საკუთარი სახელები **იანვარა** (გვარში იანვარაშვილი), **მარტა** (მარტაშვილი) და ა.შ. (ი. ახუაშვილი, 1994, გვ. 421).

რაჭული წარმოშობის ქართული გვარია. მეფეთა მიერ შერქმეულია. ეს ამბავი ასე მომხდარა: ვინმე აზნაურ დიდიძეს უმსახურია მეფის კარზე. იგი ყოფილა შესანიშნავი გარეგნობის, ბრვე ვაჟკაცი, ჭკვიანი და გონიერი, გაბედული, ამაყი. მტრის წინაშე შეუდრეკელი. მეფე მას გვერდიდან არ იშორებდა, პატივსა და დიდებას არ აკლებდა, როგორც კარგ მეომარს და მეფის ერთგულ კაცს. დიდიძის ბრწყინვალე გარეგნობა არ გამორჩენია მხედველობიდან მეფის მეუღლეს დედოფალს. დედოფლის მოჭარბებულმა ყურადღებამ დიდიძეს გაბედინა მასთან ახლო კავშირი დაეჭირა. ეს ამბავი მეფის ყურამდეც მისულა, მეფე განრისხებულა ძალიან, მაგრამ სასიკვდილოდ მაინც ვერ გაიმეტა. მეფეს უბრძანებია: ჯარის წინაშე გაეხადა ზედა ტანსაცმელი და დამდგარიყო მაისურის ამარა. ამ სურათის შემხედვარე მეფეს თქვამს: ჩამომირთმევია გვარი დიდიძე და წოდება აზნაურისა, მომიცია გვარი მაისურაძე და წოდება გლეხისა. ეს ბრძანება მეფეს ხარის ტყავზე დაუწერია (იპოვე შენი გვარი და შენი წარსული - ინფორმაცია, რომელსაც საკუთარ ფეხვებზე უნდა ფლობდე, <http://www.Literature,mcvane.ge>.)

დიალექტოლოგიური ექსპედიციის დროს, რომელიც გორის და კასპის რაიონის რამდენიმე სოფელ მოიცავდა, აღნიშნულ გვართან დაკავშირებით კასპის რაიონის სოფელ სასირეთში, რესპოდენტმა გიორგი მაისურაძემ აღნიშნა, რომ მისი გვარი დიდიძე იყო და უმსგავსო საქციელის შემდეგ არიან მაისურაძეები.

§ 4.3. -შვილ სუფიქსიანი გვარები

დაკომშილი - ქალბატონი ჯულიეტა გრიგალაშვილი გვიამბობს, მისი მამამთილის ნაამბობს, დაკომშილების გვარის შესახებ; თურმე მათ წინაპარი ვინმე ჩიჩა ყოფილა ნარიდან, როცა დაოჯახებულა, ბატონს მისი მეუღლე მოუთხოვია, მას ბრძანება არ შეუსრულებია, ხანჯალი დაუჭკრავს ბატონისთვის, გამოქცეულა და ქვემო ხვითში ერთ-ერთ თავადს შეუფარებია, მიწაც მიუცია და გვარიც გადაუკეთებიათ, რადგან არ ეპოვათ. ქალბატონი ჯულიეტა ამბობს: ხეთაგურები უნდა ყოფილიყვნენ და რადგან ბატონს დაჭკრა თავადმა გვარად მისცა დაკომშილი. ამ გვარს ქვემო ხვითში მოიხსენიებენ ჩიჩაანთ დაკომშილი, სხვა შტო ამჟამად არ არის მაგრამ მომავალში აუცილებლად გამიყოფა ჩიჩაანთიდან კიდევ შტოები.

ეპიტაშვილი - ეპიტაშვილი ადრინდელი გვარია ეპიტაშვილისა. ეპიტა მამაკაცის უძველესი ქართული სახელია. ის ბევრ ისტორიულ საბუთში გვხვდება. „ელისბარ ქსნის ერისთავმა პაპუნა გარაყანიძეს უწყალობა სოფელი თემი, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც ეპიტას და როინს ეკუთვნოდა“.

1963 წელს ეპიტა იყო მოწმე პაპუნა ფავნელიშვილის მიერ ნიქოზის ეკლესიისთვის ბოძებულ საქვრივო გლეხისა და გასამყრელო ხარის შეწირულობის წიგნისა.

XVII საუკუნის II ნახევარში ისტორიულ დოკუმენტებში მოიხსენიება ვერეში მცხოვრები გიორგი ეპიტაშვილი.

ეპიტაშვილები ცხოვრობდნენ შიდა ქართლში, კერძოდ, კასპსა და დუშეთის მხარეში. იქიდან რამდენიმე კომლი გარე კახეთში, კერძოდ ნორიოში და კახეთში, შემდეგ ზოგი თელავში გადასულა, სადაც ისევ ეპიტაშვილად ჩაწერილა, ზოგი კი - ეპიტაშვილად. ი. ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალის მიხედვით (იპოვე შენი გვარი და შენი წარსული - ინფორმაცია, რომელსაც საკუთარ ფეხვებზე უნდა ფლობდე, <http://www.Literature,mcvane.ge>).

ედიშერაშვილი - მომდინარეობს საკუთარი სახელიდან ედიშერა. ედიშერაშვილი არიან ედისიდგან მოსულნი ხეობასა შინა ძველადვე აზნაურნი (ი. ახუაშვილი, 1994, გვ. 334). ქვემო ხვითში კი ეს გვარი მოსულია დასიძევების გზით. მეუღლედ ჰყავდა ნინო ბითამე.

ზოზიაშვილი - ქვემო ხვითელი ანა ნასუაშვილი ამბობდა, ბებიაჩემი, რომელსაც დედა ზოზიაშვილი ყავდა, მონასტრიდან (თირის მონასტერი) არიან ჩამოსულები, მნათეები არიან, მხოლოდ მათ შეეძლოთ ცხვრის დაკვლა ეკლესიაში. იმ ფაქტს, რომ მათ ეკლესიასთან კავშირი ჰქონდათ ადასტურებს „არზა სოლომონ ბეგთაბეგიშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით“, რმელიც მიწერილია 1794 წლის 27 სექტემბერს. სადაც წერია: „თაქთაქისშვილს არდაშელს ერთი თავდების მღვთიშობლის ყმა ზოზიასშვილი შემოტყუებია თავის სამკვიდროს ყმობით მამის ჩემისათვის. შენს მზეს ვჰფიცავ, რომ მამაჩემს რომ სცოდნოდა ეკლესი[ი] ყმობა, არას დროს არ ინდომებდა, არც თეთრს დახარჯავდა“... (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, 1985, გვ. 294).

თაქთაქიშვილი - თაქთაქი (თურქ.) „მარტოდმარტო“. თაქთაქი ფუძეა გვარებში: თაქთაქიძე, თაქთაქიშვილი. ძველი ფეოდალური საგვარეულო სამცხეში. ვახუშტი ბაგრატიონი მთავართა და წარჩინებულთა შორის მოიხსენიებს. „თაქთაქიშვილები პირვლად სამცხის თავადები იყვნენ. მათმა წინაპარმა მაჰმადიანობა მიიღო და თაქ-აღა უწოდეს. თეიმურაზ მეფის დროს (1627 წ.) მართლმადიდებლობა დაიბრუნეს და ნაწილი ცხინვალთან დასახლდა. იქიდან მოყოლებული მომდინარეობს გვარი თაქთაქიშვილი, თავადად მიღებულნი, ამათნი სახლნი არიან: ელიზბარის შვილები, ივანეს შვილები და სხვანი“ (საანდაზო ლექსები, 20). ქართლის თავადი ელიზბარ თაქთაქიშვილი (1765 წ.) ცნობილია როგორც ერეკლე II-ის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილე (ი. ახუაშვილი, 1994, გვ. 363).

ქვემო ხვითში ამ გვარს აქვს სამი განშტოება:

1) **ტიტიკოანთი** - თაქთაქიშვილების ერთ-ერთ წინაპარს, კერძოდ, დიმიტრი თაქთაქიშვილს მეტსახელად ერქვა ტიტკო და მათ შთამომავლობასაც ტიტკოანთს ეძახიან.

2) **ბოლოკაანთი** - თაქთაქიშვილის ერთ-ერთ წინაპარს მეტსახელად ერქვა ბოლოკა და მათ შთამომავლობას დღეს ბოლოკაანთს ეძახიან. ამ განშტოებას დღეს ქვემო ხვითთან კავშირი აღარ აქვს, ისინი ცხოვრობენ თბილისში.

3) **საჩინოანთი** - ამ განშტოებას საფუძვლად დაედო მათი წინაპრის სახელი, კერძოდ, საჩინო თაქთაქიშვილის და მათ შთამომავლობასაც საჩინოანთს ეძახიან.

ბატონი დავით თავყელიშვილი გვამბობს, რომ თავყთაქიშვილები, კერძოდ, ტიტკოაანთი ფლობენ ძალას, რომელიც ე. წ. „ნასუნთქს“ შველის. ეს სავარაუდოდ არის გველის მიერ დანთხეული შხამი, რომელიც ადამიანის სხეულზე ხვდება. (ბატონი დავითი იმასაც აღნიშნავს, რომ მან დაზუსტებით არ იცის ბოლოკაანთი და საჩინოაანთ თავყთაქიშვილებიც თუ ფლობენ ამ ძალას).

მარგველაშვილი - სადაურობის სიტყვა მარგველა (მ-არგვე-ლ-ა) მიღებულია სოფლისა (ძველი მნიშვნელობით) და მთელი მხრის (ზემო იმერეთის) სახელწოდებისაგან - არგვეთი (ი. ახუაშვილი, 1994, გვ. 4). ზემოთ უკვე მოხსენებული „არზა იესე თავყთაქიშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით“, რომელიც 1796 წლის 7 ივნისს არის, მაშინ მარგველაშვილები თავყთაქიშვილის ყმები არიან და მოსულნი ქვემო ხვითში რველიდან. სოფელში ეს გვარი ათი ოჯახია.

საგიაშვილი - ბატონი ალექსი საგიაშვილი თქმით, საგიაშვილები რაჭიდან არიან, სოფელ ღებიდან, ოღონდ მისთვის უცნობია როდის და რატომ დასახლდნენ აქ. ბატონი ალექსის თქმით, დუშეთში არის საგიაანთ კარი, სადაც საგიაანები ცხოვრობდნენ, დღეს იქიდან აყრილნი არიან, მაგრამ სახელწოდება მაინც შემორჩენია იმ ადგილს.

ურჯუმელაშვილი - ქალბატონი მაყვალა გოგოლაძე, იხსენებს თავისი დედამთილის ნამბობს: სოფელ ვარიანიდან ერთი თავადის ქალი გამოთხოვდა ქვემო ხვითში თავადზე. სწორედ ამ ქალს გამოაყოლეს მორბედად პატარა ბიჭი, გვარად ურჯუმელაშვილი. როგორც ჩანს, თავადს მისთვის მიწაც მიუცია და აქ დაოჯახებულა. დღეს სოფელში სულ სამი ოჯახია, ერთი ოჯახი საცხოვრებლად გორში გადავიდა და მხოლოდ ზაფხულობით მოდიან.

§ 4.4. სხვადასხვა სუფიქსზე გათავებული გვარები

მაჭავარიანი - ქვემო ხვითში ეს გვარი აღარ არსებობს, რადგან გვარის გამგრძელებელი არ ჰყავდათ. ბატონი უშანგი მიდოდაშვილის თქმით, ეს იყო საეკლესიო აზნაურის გვარი. მათი ღვაწლი თანასოფლელების მიმართ დიდია და ამიტომ ეს გვარი არ არის დავიწყებული სოფელში. ნინო მაჭავარიანმა ქვემო ხვითველებისთვის 1909 წელს

გახსნა პირველი უფასო სკოლა გლეხებისათვის. ამის შესახებ იწერებოდა გაზეთ „გამარჯვების“ 1985 წლის 31 იანვრის № 14 ნომერში წარსულის ფურცლებიდან - „ქვემო ხვითის სკოლას 76 წელი უსრულდება“, რომლის ავტორია ზურაბ კაცელაშვილი, ფიზიკოსი, ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „ვოლნას“ საქართველოს ფილიალის უფროსი მეცნიერი მუშაკი, რომელიც აღნიშნავდა, რომ ეს სასიკეთო საქმენი შემოგვინახა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულმა გორის რაიონის სოფელ ქვემო ხვითის მოსწავლეთა ხელნაწერმა საკვირაო ლიტერატურულმა გაზეთმა „ლამპარმა“.

ამ სტატიიდან ვიგებთ, რომ ქვემო ხვითში ოთხწლიანი სკოლა 1909 წლის მარტში დარსებულა, ამ სოფლის თვალსაჩინო წარმომადგენლის ნინო გიორგის ასულის მაჭავარიანის თაოსნობით. თავიდან თურმე ორმოცამდე სწავლის მსურველი ბავშვი შეკრებილა, შემდგომში ეს რიცხვი გაზრდილა და ცოლ-ქმარ მაჭავარიანებს მათ აღსაზრდელად, საკუთარი ხარჯებით, თბილისიდან პედაგოგი ნატალია ფილიპეს ასული უნაფქოშვილი მოწვევიათ. როგორც ჩანს, სასკოლო მუშაობის ნორმალურ მსვლელობას ხელს უშლიდა სპეციალური შენობის უქონლობა, რის გამოც სკოლის დამაარსებელნი იძულებული გამხდარან ექირავებინათ ამ სოფლის მცხოვრებთა - ჯერ მეგრელიშვილების, შემდეგ კი პეპო ნიკუჭაძის კუთვნილი შენობები, შემდეგომში კი თავად მიხეილ დიასამიძის ორსართულიან საცხოვრებელ სახლში დამკვიდრდა სკოლა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1912 წელს მაჭავარიანებს სასკოლო ძალებით დაუდგამთ რამდენიმე სპექტაკლი, პირველი იყო ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“ (გაზეთი „გამარჯვება“, 1985, გვ. 4).

მაჩაბელი - ქვემო ხვითში მაჩაბელი ერთი ოჯახია, ისინი გახლდნენ თავადები.

სიმონ ჯანაში ანჩაბაძე - მაჩაბლების შესახებ აღნიშნავდა: „... იმერეთ - ამერეთის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე გზაზე სხდებიან ანჩაბაძენი... „ ანჩაბაძის“ მიხედვით იქმნება ფეოდალური რეზიდენციის სახელწოდება „აჩაბეთი“, ხოლო ამ უკანასკნელიდან - ახალი სამფლობელო სახელი „მაჩაბელი“ (ს. ჯანაშია, შრომები II, 1952, გვ. 478).

თირის მონასტრის უძველესი წარწერა ტაძრის აღმოსავლეთით მდებარე სამრეკლოზეა, რომელიც ასე იკითხება: „თავხელი(ს) ძეთა საომ და რატის: და: ასათს და:

ხელს: და მაჩაბელსა: და: მ(შ)ობელთა: მათთა შეუხდვენ ღმერთმან, ამინ.“ (ი. მეგრელიძე, 1984, გვ. 205-206).

ნუგზარ ანდლულაძის აზრით, ამ წარწერაში მოხსენებული „მაჩაბელსა“ მხოლოდ და მხოლოდ სახელის აღმნიშვნელი სიტყვაა, ისეთივე მნიშვნელობისა, როგორც სიაუმ, რატი, ასათი, ხელა და ერთი გვარის - თავხელისძეთა წარმომადგენლები არიან (ნ. ანდლულაძე, 1976, გვ. 36-37).

ვახუშტის ცნობით „მაჩაბელი იტყვის ანჩაფისძეობას, აფხაზეთიდან მოსლვას, განაახალი არის“ (ვახუშტი, 1941, გვ. 25).

ხეთაგური - ქვემო ხვითში ხეთაგური ერთი ოჯახია.

ქართული გვარ - სახელია, გვარს საფუძვლად უდევს ტოპონიმი ხეთა (იპოვე შენი გვარი და შენი წარსული - ინფორმაცია, რომელსაც საკუთარ ფეხვებზე უნდა ფლობდე, <http://www.Literature,mcvane.ge>.)

„გვარი ხეთაგუროვი პირველად მოხსენებულია ხევში, კერძოდ, კი სტეფანწმინდაში, დღევანდელ ყაზბეგში.

საქართველოს სამეფოს 1774, 1781 და 1831 წლების სტატისტიკურ აღწერებში ისინი ხეთაგადის გვარით არიან ჩაწერილნი. 1860 წელის აღწერაში ხეთაგადის გვარს უკვე ცვლის ხეთაგური. საისტორიო საბუთებით და ჩაწერილი ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ ხეთაგურების თავდაპირველი გვარი იყო თექთუმანიძე...“

„ცნობილ ისტორიულ წყაროებში „გერგეტის სულთა მატთანუში“ ჩაწერილია ხეთაგი თექთუმანიძე და კარგად ჩანს, რომ ეს ხეთაგი უნდა იყოს ხეთაგურის გვარის დამდები“ (ნ. ოთინაშვილი, 2002, გვ. 94).

გვიშიანი - სვანეთიდან არიან წამოსულები, რომელიც სვანი გვიჩიანებიდან მომდინარეობს (გურგუჩიანი, გვიდიანი, გვიშიანი, მუკბანიანი - ლეჩხუმური გვარების ისტორია <https://lechxumi.ucoz.com/news/lechxumuri-gvarebi>).

ქვემო ხვითში კი ეს გვარი მოსულია დასიძეების გზით. მეუღლე ჰყავდა თამარ თაქთაქიშვილი. ამჟამად სოფელში ორი ოჯახია.

მესხი - „გვარადქცეული ეთნონიმი“ (ი. ახუაშვილი, 1994, გვ. 450). ქვემო ხვითში მესხი ათი ოჯახია. მოსულები არიან ახალშენიდან.

ქვემო ხვითში, როგორც უკვე ზემოთაღვნიშნეთ 37 გვარია. აქ წარმოდგენილი გვარების წარმომავლობის შესახებ ინფორმაცია ეყრდნობა მთხრობელთა და საისტორიო წყაროებს. ქვემო ხვითში არსებული გვარებიდან ყველაზე დიდი გვარია **ბითაძე** და **ბასილიძე**. თავადები იყვნენ: **თაქთაქიშვილი, მაჩაბელი, დიასამიძე**. საეკლესიო აზნაური **მაჭავარიანი**. მკვიდრი გვარია მხოლოდ თაქთაქიშვილი ყველა დანარჩენი გვარი მოსულია. ზოგი გვარი თაქთაქიშვილებმა ჩამოიყვანეს, როგორც ყმები, ზოგი დასიძდა, ზოგიც თავის ბატონს გამოექცა და აქ შეიფარეს თავადებმა და დამკვიდრდნენ. ქვემო ხვითში არსებული გვარები შესაძლებელია სხვა სოფელებშიც ცხოვრობენ.

თავი V. ანთროპონიმები

მეტსახელები

ანთროპონიმია ადამიანის გვარებისა და სახელების შემსწავლელი მეცნიერებაა. ეს ტერმინიც მომდინარეობს ბერძნულიდან ანთროპოს „ადამიანი“ და ონიმა - „სახელი“. ანთროპონიმია ონომასტიკის ერთი განშტოებაა, რომელიც თავის მხრივ, ენათმეცნიერების დარგია, საკუთარ სახელთა შემსწავლელი. იგი, გარდა ადამიანის გვარ-სახელებისა, შეისწავლის ზედმეტსახელებს (თიკუნებს), ფსევდონიმებს, ზედწოდებებს, კომლთა სახელებს, კრიპტონიმებს, ანუ ფიქტონიმებს (ადამიანთა გასაიდუმლოებისათვის სხვა გვარი და სახელი) და სხვა (გ. ხორნაული, 2003, გვ. 214).

დამატებით არაოფიციალურ სახელს, რომელსაც არქმევენ ადამიანს დამახასიათებელი ნიშან-თვისებით, ქცევა-მანერის, მისწრაფების, საქმიანობის, გარეგნობის, ანალოგიის, წარმომავლობის ან თავს გადამხდარი შემთხვევის მიხედვით, ეწოდება **მეტსახელი** (პ. ცხადაია, 2005, გვ. 150).

ქვემო ხვითში გავრცელებული შერქმეული სახელები სხვადასხვა შინაარსისაა. ისინი გამოხატავენ ადამიანის თვისებებს, გარეგნობას, ქცევა-მანერის, ალერსს, მოფერებას. ჩვენ წარმოგიდგინთ მეტსახელებს შემდეგი ჯგუფების მიხედვით:

§ 5.1. ცნობილი პირების სახელები მეტსახელებში:

კუტუზოვი - დაერქვა მიხეილ გოლენიშიჩევ - კუტუზოვის გარეგნული მსგავსების, კერძოდ, ცალი თვალის არქონის გამო. თანასოფლელები მიმართავენ ამ მეტსახელით.

კიტოვანი - დაურქმევია მეზობელს, თენგიზ კიტოვანის გარეგნული მსგავსების გამო. ამ სახელით მოიხსენიებენ თანასოფლელები.

ობამა - დაერქვა ბარაკ ობამას გარეგნული მსგავსების, კერძოდ, სიშავის გამო.

პუშკინა - შეერქმევია რუსი მწერლის, ალექსანდრე პუშკინის გარეგნული მსგავსების, კერძოდ, ხუჭუჭა თმის გამო. ამ სახელით მიმართავენ თანასოფლელები.

პელე - ბრაზილიელი ფეხბურთელის სახელი პელე შეარქვეს თანატოლებმა ფეხბურთის სიყვარულის გამო. დღეს ამ სახელით მიმართავენ თანასოფლელები.

§ 5.2. ლიტერატურული გმირებისა და მხატვრული პერსონაჟების სახელები მეტსახელებში:

კრუზო - შეერქვა იმის გამო, რომ მისი სახლი მდებარეობდა დასახლებული ადგილიდან მოშორებით, უმეზობლოდ. ამიტომ თანასოფლელებს უთქვამთ - რა რობიზონ კრუზოსავით ცალკე კუნძულზე ცხოვრობო და მას შემდეგ, თანასოფლელები კრუზოს სახელით მიმართავენ. რობიზონ კრუზო არის დანიელ დეფოს რომანის „რობიზონ კრუზოს თავგადასავლის“ მთავარი გმირი.

მარსელო - ერთ-ერთ კინოში ყოფილა პერსონაჟი მარსელო ადვოკატი, სწორედ მასთან ფიზიკური და პროფესიული მსგავსების მიხედვით დაარქვეს. მხოლოდ ამ სახელით მიმართავენ თანასოფლელები.

რეიესები - სერიალის „ფარული ვნების“ გმირები არიან სამი ძმა გვარად რეიესი. სწორედ სამი ძმის მიხედვით შეურქმევიათ მათთვის ეს მეტსახელი.

დისკო - ინდური ფილმის „დისკოს მოცეკვავის“ სიმღერებს მღეროდა ახალდაზრდობაში და სწორედ ამიტომ შეარქვეს ეს მეტსახელი. ამ სახელით მიმართავენ თანასოფლელები.

ბაშიაჩუკი - შეურქმევიათ იმიტომ, რომ ხშირად მღეროდა „ბაში-აჩუკის“ სიმღერას, „ჩემო სამშობლო მხარეო“. ამ სახელით მიმართავენ თანასოფლელები.

მურტალო - შეურქმევიათ „კუკარაჩას“ ერთ-ერთი პერსონაჟის, მურტალოს გარეგნული მსგავსების გამო.

დრუნჩა - შეარქვეს ბავშვობაში, რადგან დათუნია დრუნჩას მიახსენებდა. ამ მეტსახელით მიმართავენ თითქმის ყველა.

შერხანი - ქვია „მაუგლის“ გმირს, ვეფხვს. მისი სახელი შეურქმევია მეზობელს, იმის გამო, რომ იჩხუბა-რა შერხანივით ჩხუბობო. ამ მეტსახელით მიმართავენ თანასოფლელები.

§ 5.3. გარეგნობის გამომხატველი მეტსახელები:

ბომბორა - ბავშვობაში მსუქნი ყოფილა და ამის გამო შეურქმევიათ ეს სახელი.

პაჟარა - შეარქვეს ცეცხლისფერი თმის გამო. ამ სახელით მიმართავენ თანასოფლელები.

რიჟა - წითური თმის გამო შეარქვეს.

კვადრატა - მეზობელს შეურქმევია ბავშვობაში, მისი თავის ფორმა შეუდარებია გეომეტრიული ფიგურისთვის, კვადრატისთვის. ამ სახელით მიმართავენ მხოლოდ თანატოლები.

ჩიკორა - სიცელქის გამო, ერთ ადგილას რომ ვერ ჩერდებოდა და ჩიკორივით ბზრიალებდა, ამის გამო შეურქმევიათ ეს სახელი.

ტყაჭა - როცა ბრაზდება თვალებს კარკლავს და ამიტომ შეარქვეს ეს მეტსახელი.

კრეჭო - სულ იცინის და ამის გამო შეურქმევიათ. ამ სახელით მიმართავენ თანასოფლელები.

ჭინკა - სიგამხდრის გამო შეურქმევიათ. დღეს ამ მეტსახელით მიმართავენ თანასოფლელები.

მაგრია - საუბრის დროს კისერი ეჭიმება და ამიტომ შეარქვეს ეს სახელი.

ფაჩულა - ჩაცმულობის და სიარულის გამო შეურქმევიათ. ამ სახელით მოიხსენიებენ თანასოფლელები.

ცაცულა - შეურქმევია ბავშვობაში ბეზიას. შვილიშვილს ამ სახელით ეფერებოდა. მეტსახელით ოაჯახის წევრების გარდა ყველა მიმართავს.

ხუტა - მოხრილი სიარულის გამო შეურქმევიათ. ამ მეტსახელით მიმართავენ თანასოფლელები.

ჭრელო - შეურქმევიათ თმის ფერის გამო.

ნისკარტა - მისი ცხვირი შეუდარებიათ ნისკარტისთვის და ამ სახელით მიმართავენ თანასოფლელები.

კინკილა - სიარულის გამო შეურქმევიათ.

ქარიშხალა - შეარქვეს სწრაფი სიარულის გამო.

ბრანძვი - შეურქმევიათ იმიტომ, რომ სულ დაკონკილი ტანსაცმლით დადიოდა. დღეს ამ სახელით მიმართავენ თანასოფლელები.

დუგლა - შეურქმევია პაპას ბავშვობაში, მსუქანი ლოყების გამო და ეძახდა დუგლის. დღეს ამ სახელით მიმართავენ ოჯახის წევრების გარდა ყველა.

ლახლახა - შეურქმევიათ სიარულის გამო. ამ მეტსახელით მიმართავენ თანასოფლელები.

კოროხა - ბავშვობაში შეურქმევიათ მაგარი თავის გამო.

სომეხა - შეარქვეს იმის გამო, რომ შავია სომეხივით. ამ მეტსახელით ცნობს ყველა.

§ 5.4. თევზის, ცხოველების და ფრინველთა მსგავსებით შერქმეული სახელები:

ღორჯო - შეურქმევიათ იმიტომ, რომ მისი თვალები თევზის თვალებისთვის მიუმსგავსებიათ. ამ სახელით მიმართავენ მხოლოდ თანასოფლელები.

კოკონა - არის იხვის ერთ-ერთი სახეობა. შეურქმევიათ ბავშვობაში ფიზიკური მსგავსების გამო. დღეს ამ მეტსახელით მიმართავს თითქმის ყველა და საკუთარი სახელი არის განდევნილი.

ციკანი - შეურქმევიათ ტანმორჩილობის გამო. ამ სახელით მიმართავენ მხოლოდ თანატოლები.

თრითინა - შეურქმევიათ ბავშვობაში, ძალიან პატარა და გამხდრი ყოფილა. ამ სახელით მიმართავს თითქმის ყველა და საკუთარი სახელი განდევნილია.

მელა - შეერქვა მელური ხასიათის გამო. ამ სახელით დღეს მიმართავენ თანასოფლელები.

შაში - შეერქვა იმიტომ, რომ მისი სახლი დგას იმ ტერიტორიაზე, სადაც ბევრი შაში ბუდობს. თან ამ ადამიანს სიმღერა უყვარს და შეარქვეს ეს მერტსახელი. ამ სახელით მიმართავს თითქმის ყველა.

ყვაი - შეარქვეს სიშავის გამო. ერთხელ მისთვის ასე მიუმართავთ „შე ყვაივით შავოვო“ და დღეს ამ მეტსახელით მიმართავენ თანასოფლელები.

იხვი - შეარქვეს იმის გამო, რომ მისი ცხვირი იხვის ნისკარტისთვის მიუმსგავსებიათ. ამ სახელით მიმართავენ მხოლოდ თანატოლები.

წრუწუნა - შეურქმევიათ ბავშვობაში, რადგან წრუწუნასავით პატარა ყოფილა. დღეს ამ სახელით მიმართავენ მხოლოდ თანასოფლელები.

ბოსტანა - შეურქმევიათ იმიტომ, რომ ბავშვობაში მიწაში თამაში უყვარდა. დღეს ამ სახელით მხოლოდ თანატოლები მიმართავენ.

ბელი - მათ წინაპარს ეძახდნენ დათვებს დიდი ტანის გამო და თან წყნარი ხალხი ყოფილან. ამიტომ მათ შთამომავლებს დაარქვეს ბელები, რადგან დათვის შვილს ბელი ქვია.

ბაჭია - შეურქმევიათ იმიტომ, რომ ბაჭიასავით პატარა ქალია. დღეს ამ სახელით მიმართავს მხოლოდ ახლობლები.

ცხენი - შეურქმევიათ იმიტომ, რომ ცხენივით ჭიხვინებს. დღეს ამ მეტსახელით მიმართავს მხოლოდ თანასოფლელები.

ქედანა - შეარქვეს იმიტომ, რომ ბავშვობაში მოკლულ ქედანს დატარებდა. დღეს ამ მეტსახელით მიმართავს თითქმის ყველა და საკუთარი სახელი განდევნილია.

პონი - შეარქვეს სიდაბლის გამო. ამ სახელით მიმართავენ მხოლოდ თანატოლები.

ობობა - შეურქმევიათ ბავშვობაში, რადგან მოუსვენარი იყო და ყველგან ძვრებოდა. ამ მეტსახელით მიმართავს თითქმის ყველა.

ვოლკი - შეურქმევიათ მგლური ხასიათის გამო, მაგრამ გაურკვეველია თუ რატომ შეეარქვეს რუსულად. ამ მეტსახელით მიმართავენ თანასოფლელები.

ბოჩოლა - შეარქვეს ბავშვობაში, რადგან ძალზედ წყნარი იყო. ამ სახელით მიმართავენ თანასოფლელები.

ჭოტი - შეარქვეს გარეგნული მსგავსების გამო.

ხარაგი - შეარქვეს იმის გამო, რომ ოსური კარგად იცოდა ჰკითხეს სხვადასხვა საგნის სახელი ოსურად თუ როგორ იყო, შემდეგ კითხეს ვირი სახელი და უპასუხია - ხარაგაო, და, აი, შენ ხარ ხარაგაო, უთქვამთ. ამის შემდეგ ყველა ამ მეტსახელით მიმართავს და ნამდვილი სახელი განდევნილია.

§ 5.5. გონებრივი და სხვა თვისებრივი ნაკლის გამომხატველი მეტსახელები:

აფიორა - შეარქვეს იმიტომ, რომ ხშირად იტყუებოდა.

აგა - შეარქმევია ბავშვობაში, როდესაც პატარა და ცდილობდა ძმისთვის ეთქმევინებინა ალუ ემახდა აგას. მას შემდეგ ამ მეტსახელით მიმართავენ და საკუთარი სახელი განდევნილია.

ბალა - შეარქვა ძმამ ბავშვობაში, ბაიას მაგივრად ბალას ემახდა. დღეს ამ პიროვნების სახელი თითქმის არავინ იცის, ყველა მეტსახელით იცნობს და ზოგს ნამდვილი სახელიც ჰგონია.

პუწია - შეარქვა ბავშვობაში, რადგან ძმის სახელს, ნუკრის ვერ იმახდა. ამ მეტსახელით მიმართავენ თანასოფლელები.

ფუჩია - შეარქვა ბავშვობაში, რადგან ხბოს ემახდა ფუჩის. ამ მეტსახელით მიმართავენ თანასოფლელები.

ჭუპა - ბავშვობაში დაურქმევიათ, როდესაც აბანავებდნენ ჭუპა-ჭუპას იმახდა.

ხვრინია - შეარქვა იმის გამო, რომ ღვიძავს და მაინც ხვრინავს.

§ 5.6. თვისების და ხასიათის მიხედვით შეარქმეული მეტსახელები:

წუწა - შეარქმევიათ ბავშვობაში, როდესაც მამის სანახავად მიჰყავდა დედას სავადმყოფოში ხოლმე, ნახვის საათები არ იყო დაწყებული და ყოველთვის ითხოვდა კანფეტის ყიდვას და იქ ექთანს უთქვამს, - შე წუწავო. დღეს კი წუწას ემახიან. საკუთარი სახელი განდევნილია.

კალზასა - შეარქვეს ძეხვის სიყვარულის გამო.

პაპა - შეერქვა ბავშვობაში, იმის გამო, რომ ჭამა უყვარდა, სუფრა რომ მალე გაემალათ, უთქვამს „პაპას მოართვით წნილი და ლობიოვო“. ამის შემდეგ ყველა ამ მეტსახელით მიმართავს.

სოფელა - სოფელ- სოფელ უყვარს სიარული და ამიტომ შეარქვეს.

§ 5.7. ქცევისა და მოქმედების აღმნიშვნელი სახელები მეტსახელებში:

პარია - შეერქვა ბავშვობაში, როდესაც მამალი მოიპარა, პატრონმა ეს რომ დაინახა, დაუძახა: შე პარიაო და მის შემდეგ თანასოფლელები ამ მეტსახელით მიმართავენ. საკუთარი სახელი განდევნილია.

ჭიჭიკია - შეურქმევია თანასოფელს, ანეგდოტების მოყოლის გამო. ამ მეტსახელით მიმართავენ თანასოფლელები ისე, რომ საკუთარი სახელი განდევნილია.

ჯაჯე - შეარქვეს ბავშვობაში იმის გამო, რომ უყვარდა ტრიალი ავტომობილებთან. ყოფილა ვინმე ჯაჯე - ავტომობილების ხელოსანი და დარქვეს ეს მეტსახელი. ამ სახელით მიმართავენ თანასოფლელები.

ჩურჩხელა - შეარქვეს იმის გამო, რომ რუსეთში ჩურჩხელებს ჰყიდიდა.

შაკა - შეარქვეს ბავშვობაში, როდესაც ვაშლი მოუპარია, დარაჯს დაუძახია მისთვის, შაკა ხარო. ამის შემდეგ ყველა ამ მეტსახელით მიმართავს.

პემკა - შეურქმევია მასწავლებელს, იმის გამო, რომ ხშირად იცვლიდა ადგილს და უთქვამს რა პემკასავით დახტიხარო. მის შემდეგ ყველა ამსახელით მიმართავს.

ჭიპა - შეარქვეს იმის გამო, რომ ჭიპზე ახალგაზრდობაში სიგარეტი ჩააწვეს. ამ მეტსახელით მიმართავენ ყველანი ისე, რომ საკუთარი სახელი განდევნილია.

ჭყვილა - შეერქვა ბავშვობაში, როდესაც დედა საქმიანობდა და ბავშვს ვერ ხედავდა, დაუძახებდა ხოლმე, რომ გაეგო - სად იყო. იმის ნიშნად რომ ეზოში თამაშობდა, დაიცივლებდა ხოლმე, თან წიწილებს თავებს აწყვეტდა და, როდესაც დედამისს ეს დაუნახავს უთქვამს შე - ჭყვილაო. ამ მეტსახელით მიმართავენ თანასოფლელები.

საქო - შეარქვეს ბავშვობაში, როდესაც დედას მინდორში მიყავდა, თანასოფლელს უთქვამს: რამხელა ბიჭი გამხდარა, საქორწილოაო და მის შემდეგ ეძახიან საქოს.

საციხე - შეერქვა იმის გამო, რომ სულ შარზეა და საციხედ აქვს საქმე. ამ სახელით მიმართავს ყველა და საკუთარი სახელი განდევნილია.

წყეული - შეარქვეს იმიტომ, რომ ექიმბაშობდა გველის შხამით.

§ 5.8. უცნობი სემანტიკის გამომხატველი მეტსახელები:

ქვირა, წუკა, ჩოპკე, ტოპე, ქიმბარა, ტატე, პაწა, ნიქსა, ცოცო, ცანცია, ჩინჩრიკა, სარაკა, ჭუპე, ბათა, ვაჭარო ...

§ 5.9. კნინობით - მოფერებითი, ალერსის გამომხატველი მეტსახელები:

სოფელში მრავლად ვხვდებით კნინობით-მოფერებით, ალერსის გამომხატველ მეტსახელებს.

-**იკ-ო**: ზოია-ზოიკო, ცირა-ცირიკო, გიგლა-გიგლიკო, ნინი-ნინიკო, ანა-ანიკო, მარია-მარიკო, ზურა-ზურიკო....

-**უკ-ა**: ლანა-ლანუკა, ნატა-ნატუკა...

-**უნ-ა**: ბექა-ბექუნა, დათო-დათუნა, გიორგი-გიორგუნა...

-**ა**: თამარი-თამარა, ვახტანგი-ვახტანგა, ალექსი-ალექსა, დავითი-დავითა, ნიკოლოზი-ნიკოლოზა, ლავრენტი-ლავრენტა....

ხშირად მეტსახელი იმდენად პოპულარული ხდება, რომ ამა თუ იმ პიროვნებას მეტსახელით უფრო იცნობენ ვიდრე საკუთარი სახელით.

ამდენად, ქვემო ხვითში საინტერესო ანთროპონიმული მასალები მოიპოვება. თითოეულ მათგანს წარმოშობის საინტერესო და გამორჩეული ისტორია აქვს.

დასკვნა

ჩვენ შევეცადეთ, აღნიშნულ ნაშრომში, ნაწილობრივ წარმოგვედგინა სოფელ ქვემო ხვითში დაცული ონომასტიკური მასალა, მოგვეხდინა მათი აღნუსხვა და დაჯგუფება. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, ბევრი საინტერესო ლექსიკური ერთეული. ამ ნაშრომში წარმოდგენილია: **ქვემო ხვითის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა, სოფლის სიძველეები და წეს-ჩვეულებები, სოფლის ტოპონიმები, გვარ-სახელები და ანთროპონიმები.** ნაშრომში გაშუქებული სოფლის სიძველეები და წეს-ჩვეულებები, რომელებმაც დრო ჟამის სვლას გაუძლო და დღემდე შემოგვინახა. რაც შეეხება ქვემო ხვითში დაცულ გვარ-სახელებს, აქ ძირითადად, სუფიქსური წარმოების გვარებია. სუფიქსებიდან ყველაზე პროდუქტულია **-ძეზე** და **-შვილზე** დაბოლოებული გვარები, მაგრამ ისიც უნდა აღნიშნოთ, რომ ამ ორი სუფიქსიდან უფრო მეტად გავრცელებულია **-შვილზე** გათავებული გვარები. ასევე არის გვარები, რომელიც ბოლოვდება: **-ანი, -ელი, -ური, -ი.** აქ წარმოდგენილი გვარებიდან, მკვიდრი გვარი მხოლოდ თაქთაქიშვილია.

ონომასტიკური მასალის მხრივ სოფელ ქვემო ხვითში საკმაოდ მრავლადაა ანთროპონიმები, რომელიც ჯგუფდება სხვადასხვა ნიშან-თვისებებით, კერძოდ, ცნობილი პირების სახელები მეტსახელებში; ლიტერატურული გმირების და მხატვრული პერსონაჟების სახელები მეტსახელებში; გარეგნობის გამომხატველი მეტსახელები; თევზის, ცხოველების და ფრინველთა მსგავსებით შერქმეული სახელები; გონებრივი და სხვა თვისებრივი ნაკლის გამომხატველი მეტსახელები; თვისების და ხასიათის მიხედვით შერქმეული მეტსახელები; ქცევისა და მოქმედების აღმნიშვნელი სახელები; უცნობი სემანტიკის გამომხატველი მეტსახელები; კნინობით - მოფერებითი, ალერსის გამომხატველი მეტსახელები. მათმა შესწავლამ ბევრი საინტერესო ენობრივი ერთეული წარმოადგინა.

ტოპონიმების მხრივ უნდა ითქვას, რომ სოფლის ტოპონიმის მასალა ისეთივე მრავალფეროვანი არაა, როგორც ანთროპონიმული. აქ, ძირითადად, სუფიქსიანი(-იან(ი), -ებ და სხვადასხვა) და პრეფიქს-სუფიქსიანი(სა-ე) წარმოების ტოპონიმებია. ჩვენ მიერ

მოკვლეული მასალები, ცხადყოფენ, რომ სოფელი ქვემო ხვითი მდიდარია ონომასტიკური მასალით.

მიგვაჩნია, რომ სოფელში დაცული ონომასტიკური მასალის აღნუსხვა გარკვეულად ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის მდიდარი ონომასტიკური მასალის კვლევას. ჩვენ წარმოვადგინეთ შიდა ქართლის ერთი პატარა სოფლის, ქვემო ხვითის, ონომასტიკური მასალა. ერთობ საინტერესო იქნება შიდა ქართლის სოფლების ონომასტიკური მასალის აღნუსხვა და მათი ერთმანეთთან შედარება და კვლევა. ვფიქრობ, კვლევას გავაგრძელებთ ამ მიმართულებით და შევძლებთ, არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტის აღმოჩენასა და შემდეგ, უკვე მათ საფუძვლიანი შესწავლას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანდლულაძე ნ, თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსაზი, „მეცნიერება“, თბ., 1976.
2. ახუაშვილი ი, ქართული გვარ-სახელები, „განათლება“, თბ., 1994.
3. გაზეთი „გამარჯვება“, 1985 წ 31 იანვარი, №14.
4. გვასალია ჯ, ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. VI, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1982.
5. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1941.
6. თოფჩიშვილი რ, ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, „ენა და კულტურა“, თბ., 2005.
7. მეგრელიძე ი, სიძველეები ლიახვის ხეობაში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1984.
8. ოთინაშვილი ნ, ლიახვის ხეობის ონომასტიკა, ცსუ, 2002.
9. ოქროპირიძე ნ, ტოპონიმიკური ძიებანი, I, „ფარნავაზი“, გორი, 2008.
10. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი V, თბ., 1990.
11. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1981.
12. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1985.
13. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II-გ, საქ. სსრ. მეცნ. აკად. თბ., 1951.
14. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. X, თბ., 1986.
15. ცხადაია პ, ონომასტიკის შესავალი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2005.
16. ჭუმბურიძე ზ, რა გქვია შენ?, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბ., 2003.
17. ჭყონია ი, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, საქ. სსრ, მეცნ, აკად. თბ., 1955.


18. ხორნაული გ, ქართული ონომასტიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2003.
19. ჯანაშია ს, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის: შრომები II, საქ, სსრ, მეცნ, აკად. თბ., 1952.
20. ჯაჯანიძე პ, წყალტუბოს რაიონის ტოპონიმისტიკა, „მაცნე“, №3, 1976.
21. იპოვე შენი გვარი და შენი წარსული - ინფორმაცია, რომელსაც საკუთარ ფეხვებზე უნდა ფლობდე, {<http://www.Literature,mcvane.ge.>}
22. გურგუჩიანი, გვიდიანი, გვიშიანი, მუკბანიანი - ლეჩხუმური გვარების ისტორია {<https://lechxumi.ucoz.com/news/lechxumuri-gvarebi>}

საილუსტრაციო მასალა

1. ქვემო ხვითის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია



2. ქვემო ხვითის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის წარწერა



3. ქვემო ხვითის წნდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია



4. ბერ ბასილიძის შვილის საფლავი წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში



5. ქვემო ხვითის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესია



6. შინ მოუსვლელი ჯარისკაცის მემორიალი



7. საფლავის წარწერები

